




The European Union's programme on
"Training for Activists of political Parties and their Youth Organizations"

National and Local Elections: Participation, Campaigning and Observation

Seminar Materials

*2 – 6 March, 2011
Bazaleti, Georgia*



This project is funded by
The European Union

Friedrich Naumann
STIFTUNG FÜR DIE FREIHEIT

A project implemented by International Center on Conflict and
Negotiation & Friedrich Naumann Foundation for Freedom



ევროპის კავშირის პროგრამა
„პოლიტიკური პარტიებისა და მათი ახალგაზრდული
ორგანიზაციების აქტივისტების თრეინინგი“

ეროვნული და ადგილობრივი
არჩევნები - კამპანია და დაკვირვების
პროცესი

სემინარის მასალები

2011 წლის 02-06 მარტი
ბაზალეთი, საქართველო

ეკა სირაძე-დელიონე

აღმასრულებელი დირექტორი
სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის
საერთაშორისო საზოგადოება - ISFED

Reader

საქართველოს საარჩევნო სისტემა

ყველა ქვეყანაში, არჩევნების მთავარ რეგულატორს საარჩევნო სისტემა წარმოადგენს. იგი განსაზღვრავს არჩევნების ორგანიზების ზოგად პრინციპებსა და იმ წესებს, რომლითაც ამომრჩეველთა ხმები მანდატებში, სახელისუფლებო თანამდებობებში გადაიყვანება. საარჩევნო სისტემა პოლიტიკური სისტემის შემადგენელი ნაწილია და მისი მთავარი დანიშნულება ხალხის ნების თავისუფალი და ადეკვატური გამოხატულებაა (მაცაბერიძე, მ., 2003. გვ. 324).

საარჩევნო სისტემის ცნებას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. ფართო გაგებით, საარჩევნო სისტემა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობაა, რომლის საშუალებითაც ყალიბდება სახელმწიფოს არჩევითი ორგანოები. ვიწრო გაგებით, საარჩევნო სისტემა არის საჯარო მოხელის, წარმომადგენლობითი ორგანოს/ორგანოებისა და თანამდებობის პირთა არჩევის წესი, ასევე არჩევნების შედეგების დადგენის წესი. ქვემოთ აღწერილია საარჩევნო სისტემები ვიწრო გაგებით.

საარჩევნო სისტემები, ძირითადად, ორი ტიპისაა: მაჟორიტარული (ალტერნატიული) და პროპორციული (წარმომადგენლობითი). თუმცა, აღსანიშნავია, რომ არსებობს მესამე - შერეული საარჩევნო სისტემა, როდესაც ეს ორი სისტემა ერთად გამოიყენება. შერეული სისტემის გამოყენება გამოიწვია მაჟორიტარული და პროპორციული სისტემებისთვის დამახასიათებელი უარყოფითი ფაქტორების შემცირების სურვილმა, რომლებზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი (მაცაბერიძე, მ., 2003. გვ. 325-326).

მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემას საფუძვლად უდევს უმრავლესობის პრინციპი, ანუ არჩეულად ითვლება/ითვლებიან ის კანდიდატი/კანდიდატები (კანდიდატთა სია), რომლებიც მიიღებენ ხმების დადგენილ უმრავლესობას. თავის მხრივ, არსებობს მრავალი ტიპის მაჟორიტარული სისტემა, რომლებზედაც გვექნება საუბარი.

პროპორციულ საარჩევნო სისტემას საფუძვლად უდევს პარტიებს შორის მანდატების განაწილება მიღებული ხმების პროპორციულად. ანუ, არჩევნებში ამომრჩევლები ხმას აძლევენ პარტიულ სიას, შემდეგ კი მანდატები პარტიულ სიებს შორის ნაწილდება მიღებული ხმების პროპორციულად.

დღესდღეისობით მსოფლიოში გამოიყენება ზემოაღნიშნული საარჩევნო სისტემების მრავალი მოდიფიკაცია.

საქართველოში საარჩევნო სისტემა დარეგულირებულია კონსტიტუციითა და საქართველოს საარჩევნო კოდექსით (ორგანული კანონი). 2008 წლის საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა შერეული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, რომლის დროსაც მისაღები მანდატების 50% მაჟორიტარული ხოლო 50% პროპორციული სიით გადანაწილდა. უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების საკრებულოების ანუ წარმომადგენლობითი ორგანოების დაკომპლექტებისასაც 2010 წლის არჩევნები შერეული საარჩევნო სისტემა იქნა გამოყენებული. მაჟორიტარული ერთმანდატიანი ოლქებიდან და პროპორციული. (ეს სისტემა გამოიყენება საქართველოში 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის საკრებულოს დაკომპლექტების წესი შეიცვალა 2010 წელს).

საქართველოში საარჩევნო კოდექსის მეორე მუხლი ადგენს საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნების მომზადებისა და ჩატარების სამართლებრივი საფუძვლებს. ესენია: *საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები, საქართველოს საარჩევნო კოდექსი, საკანონმდებლო აქტები და საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივი აქტები.*

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-15 თავი კი ადგენს საქართველოში საარჩევნო ოლქების შედგენის პროცესს საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის, რაც რეალურად საარჩევნო სისტემის ძირითად შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. სსკ-ის მე-15 მუხლისა და მეოთხრმეტე თავის 92-ე მუხლის მიხედვით:

მუხლი 15

1. საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის იქმნება 75 ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. როგორც წესი, ყოველი თვითმმართველი ერთეული არის ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი; გამონაკლისია საქართველოს დედაქალაქი, სადაც იქმნება 10 ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი, აგრეთვე ერედვისა და ქუთაისის თემები, რომლებიც ერთად წარმოადგენენ ერთ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქს, და აჭარისა და თიღვის თემები, რომლებიც არ არიან დამოუკიდებელი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქები.

მუხლი 92

საქართველოს პარლამენტის 75 წევრი აირჩევა პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, ხოლო 75 წევრი – მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.

საპარლამენტო არჩევნებისას, საარჩევნო სისტემის გარკვეულწილად ასევე არეგულირებს საქართველოს საარჩევნო კოდექსის **105 მუხლი**, რომელიც ესება არჩევნების შედეგების შეჯამებას საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

105-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც ხმათა მეტ რაოდენობას მიიღებს (უბრალო უმრავლესობით), მაგრამ არანაკლებ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩევნებში მონაწილეთა 30%-ისა. მონაწილეთა ხმების რაოდენობაში არ ჩაითვლება ბათილად ცნობილი ბიულეტენებით გათვალისწინებული ხმების რაოდენობა (როგორც წესი ბევრ სხვა ქვეყანაში ახმების საერთო რაოდენობაში ასევე ითვლება ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობაც, საქართველოში ეს წესი 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის შეიცვალა).

105-ე მუხლის მე-6 პუნქტი ადგენს, რომ საქართველოს პარლამენტის წევრთა მანდატები მიეკუთვნება მხოლოდ იმ პარტიულ სიას, რომელმაც მიიღო არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ **5%-ისა**. (აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ბარიერია დაწესებული).

საარჩევნო სისტემების შესწავლისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ მათემატიკურ ფორმულასაც რომელიც გამოიყენება მიღებული ხმების მანდატებში გადასაყვანად. კონკრეტულად საქართველოში, მანდატების რაოდენობის დასათვლელად შემდეგი წესი გამოიყენება:

პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად ამ სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა უნდა გამრავლდეს 75-ზე და გაიყოს ასეთი პარტიების მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობების ჯამზე. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი წარმოადგენს პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობას. (ჰეარის მეთოდი)

თუ პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობათა ჯამი 75-ზე ნაკლები აღმოჩნდა, გაუნაწილებელი მანდატებიდან თითო მანდატი მიეკუთვნება იმ პარტიულ სიებს, რომლებმაც არჩევნებში მეტი ხმა მიიღო.

105-ე მუხლის მე-9 პუნქტი ადგენს, რომ თუ ორი ან მეტი პარტიული სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა თანაბარი აღმოჩნდა, მანდატი მიეკუთვნება იმ სიას, რომელმაც უფრო ადრე გაიარა რეგისტრაცია საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

როგორც წესი, დიდი ყურადღება არასოდეს ექცევა ადგილობრივი არჩევნების საარჩევნო სისტემას, თუმცა ვთვლი, რომ ზოგადად დემოკრატიის განვითარებისათვის, ძალზედ მნიშვნელოვანია გაზრება იმისა, თუ როგორ კომპლექტდება და რამდენად წარმომადგენლობითია ადგილობრივი თვითმმართველობები.

საქართველოს თვითმმართველობისათვის საარჩევნო სისტემას არეგულირებს საარჩევნო კოდექსის მე-15 მუხლი და მეთექვსმეტე თავის 112-ე მუხლი. ამ მუხლების მიხედვით ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნების მიზნებისათვის ყოველი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული წარმოადგენს დამოუკიდებელ საარჩევნო ოლქს.

საარჩევნო კოდექსის მეჩვიდმეტე თავის 113-ე მუხლის მიხედვით ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნები ტარდება პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.

ამავე კოდექსის 114-ე მუხლის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის და თვითმმართველი ქალაქის საკრებულოს არჩევნებისას ამომრჩეველს აქვს ერთი ხმის უფლება პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე და ერთი ხმის უფლება მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.

115 მუხლი განსაზღვრავს მუნიციპალიტეტების დაკომპლექტების წესს. კონკრეტულად,

1. მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება პროპორციული სისტემის საფუძველზე არჩეული 10 წევრისა და შესაბამის ტერიტორიაზე არსებული ყველა თემიდან და ქალაქიდან, რომელიც შედის ამ რაიონის შენადგენლობაში მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული თითო წევრისაგან.

2. თვითმმართველი ქალაქის საკრებულო შედგება:

ა) მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე არჩეული 10 წევრისა და პროპორციული სისტემის საფუძველზე არჩეული 15 წევრისგან, თუ ამომრჩეველთა რაოდენობა აღემატება 75.000-ს;

ბ) მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე არჩეული 5 წევრისა და პროპორციული სისტემის საფუძველზე არჩეული 10 წევრისგან, თუ ამომრჩეველთა რაოდენობა არ აღემატება 75.000-ს.

2010 წლამდე განსხვავებული საარჩევნო სისტემა ჰქონდა დედაქალაქს - თბილისს. ხოლო 2009 წლის დეკემბრის ცვლილებების საფუძველზე სისტემა შეიცვალა. საქართველოს საარჩევნო კოდექსის მეჩვიდმეტე პრიმა თავის საფუძველზე

თბილისის საკრებულოს არჩევნები ტარდება მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემების საფუძველზე ხმათა მარტივი უმრავლესობის საფუძველზე.

თბილისის საკრებულო შედგება 50 წევრისაგან, რომელთაგან 25 წევრი აირჩევა ადგილობრივი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების ტერიტორიაზე, ხოლო 25 წევრი – პროპორციული წესით თბილისის მთელ ტერიტორიაზე.

თბილისის საკრებულოს მაჟორიტარულ არჩევნებში არჩეულად ჩაითვლება ის მაჟორიტარი კანდიდატი, რომელიც ერთმანდატიან მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში მიიღებს სხვებზე მეტ

ხმას (მარტივი უმრავლესობა). თუ არჩევნებში მონაწილე ორმა კანდიდატმა მიიღო ხმათა თანაბარი რაოდენობა, არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში უფრო ადრე წარადგინა განცხადება რეგისტრაციის თაობაზე.

თბილისის საკრებულოში პროპორციული სისტემით მანდატები ნაწილდება მხოლოდ იმ საარჩევნო სუბიექტებზე, რომლებმაც მიიღეს არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 4%-ისა.

პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად პარტიული სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა უნდა გამრავლდეს თბილისის საკრებულოს პროპორციული მანდატების რაოდენობაზე და უნდა გაიყოს იმ პარტიების/საარჩევნო ბლოკების მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობების ჯამზე, რომლებმაც მიიღეს არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 4%-ისა. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი არის პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა (ჰეარის მეთოდი).

არჩევნებში მონაწილეთა ხმების რაოდენობაში არ ჩაითვლება ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენებით გათვალისწინებული ხმების რაოდენობა.

თუ თბილისის საკრებულოს პროპორციული არჩევნებისას პარტიული სიების მიერ მიღებული მანდატების რაოდენობათა ჯამი მანდატების საერთო რაოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდება, გაუნაწილებელი მანდატებიდან თითო მანდატი მიღებული ხმების პროპორციულად, თანამიმდევრულად მიეკუთვნება იმ პარტიულ სიებს, რომლებმაც მიიღეს ერთი მანდატი მაინც.

თუ ორი ან ორზე მეტი პარტიული სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა თანაბარი აღმოჩნდება, მანდატი მიეკუთვნება იმ პარტიულ სიას, რომელმაც თბილისის საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ცესკოში უფრო ადრე გაიარა რეგისტრაცია.

საარჩევნო სისტემების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია მოგეწოდებათ Reader-ის ვრცელ ვერსიაში.

დიდი მადლობა ყურადღებისათვის, დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ მომმართოთ eka@isfed.ge ელექტონულ მისამართზე.

გამოყენებული ლიტერატურა

მალხაზ მაცაბერიძე 2003

საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს ორგანული კანონი საარჩევნო კოდექსი

პროფ. გიორგი ხუციშვილი
დირექტორი, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების
საერთაშორისო კვლევითი ცენტრი

Reader

საარჩევნო გარემო

არჩევნები და მათი კონტექსტი

თანამედროვე ევროპული ტიპის დემოკრატიული სახელმწიფოს შენების პროცესის განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის არჩევნებს განსაკუთრებული როლი ეკუთვნის. წარმომადგენლობითი დემოკრატიის განხორციელების ანუ სახელმწიფო თუ ადგილობრივი ხელისუფლების შექმნის ერთადერთი საშუალებაა არჩევნები. ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს საარჩევნო სისტემას, რომელმაც უნდა შექმნას ამომრჩეველთა ნების ადეკვატურად ასახვის აუცილებელი პირობები. ცხადია, მხოლოდ ეს ვერ უზრუნველყოფს არჩევნების სამართლიანი შედეგის მიღწევას: ასეთი შედეგი მიიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება და ამომრჩეველიც განუხრელად დაიცავს არჩევნების დადგენილ წესებს. მაგრამ ისიც ცხადია, რომ, თუ არ დადგინდა არჩევნების სამართლიანი პირობები, მათ შორის, საარჩევნო დავების გადაწყვეტის სამართლიანი წესები, შეუძლებელი გახდება არჩევნების სამართლიანი შედეგის მიღწევა. სწორედ ამიტომ, არაერთი ქვეყნის კონსტიტუციაში ასახულია არა მხოლოდ არჩევნების საფუძვლები, არამედ მთელი რიგი პროცესუალური ნორმებისა, რამაც უნდა უზრუნველყოს სამართლიანი და მდგრადი საარჩევნო გარემოს არსებობა.

თითქმის 15 წელია მიმდინარეობს დავა საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესის თაობაზე, რომელიც ლამის ყოველი არჩევნების წინ იცვლება, მაგრამ იმისდა მიუხედავად, ვის ხელშია ხელისუფლება, არ იცვლება ერთი პრინციპი: ყველა დონის საარჩევნო კომისიაში, აშკარად თუ ფარულად, უმრავლესობა სახელისუფლებო პარტიის ხელში რჩება. ამის გამო, სხვა მიზეზებზე რომ არაფერი ვთქვათ, საზოგადოებაში დამკვიდრდა დიდი უნდობლობა საარჩევნო ადმინისტრაციისა და მთლიანად არჩევნების მიმართ, რაც მოსახლეობაში არჩევნების მიმართ პასიური და ნიჰილისტური დამოკიდებულების უმთავრეს მიზეზად იქცა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების ასეთი წესი არაერთხელ იქცა ევროსაბჭოს ვენეციის კომისიისა და ეუთოს საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის კრიტიკის საგნად.

წინა წლებში ჩატარებულმა არჩევნებმა ასევე გამოავლინა ამომრჩეველთა სიების შედგენის საკმაოდ პრობლემური წესი. აშკარაა, რომ საქართველოს 4,3 მილიონი მცხოვრებიდან შეუძლებელია ამომრჩეველი 3,6 მილიონი (მოსახლეობის 84%) იყოს. „გაბერილი“ სიები კი არჩევნების შედეგების გაყალბების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია¹. მხოლოდ 2010 წლის გაზაფხულზე დაიწყო ამ მდგომარეობის გამოსწორება, როდესაც დამტკიცდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის ახალი ხელმძღვანელობა და შემადგენლობა.

¹ წყარო: საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის მიერ გამოწვევებული 'საქართველოს კონსტიტუციის კონცეფციის განვრცობილი ვარიანტი', 2009წ. www.konstitucia.ge

ჩვენი რეალობიდან გამომდინარე, არჩევნების საბოლოო შედეგებზე მნიშვნელოვან და ხშირად გადამწყვეტ გავლენას ახდენდა ე.წ. „სახელისუფლებო რესურსი“, რომლის მოცულობა, სხვადასხვა შეფასებით, ამომრჩეველთა 15-20%-ს აღწევდა. თუ ამას დაემატებოთ მოსყიდულ ან დაშინებულ ამომრჩეველს (დაახლოებით 10%), გამოდიოდა, რომ ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ძალა, დანარჩენ პოლიტიკურ ძალებთან შედარებით, არჩევნებს 25-30%-იანი უპირატესობით იწყებდა. „სახელისუფლებო რესურსის“ გამოყენება და ამომრჩეველზე ფარული თუ აშკარა უკანონო ზემოქმედება მაქსიმალურ შედეგს იძლევა მსოფლიოში მოქმედი ზოგიერთი საარჩევნო სისტემის გამოყენებისას. ასეთია საქართველოში მოქმედი სისტემა (არჩევნები ერთიანი პარტიული სიებით და ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემით).

საარჩევნო პროცესის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად და, ზოგადად, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მოსაწესრიგებლად აუცილებელია არსებული საარჩევნო სისტემის შეცვლა ისეთი სისტემით, რომელიც საშუალებას მოგვცემს მკვეთრად შევამციროთ ზემოაღნიშნული უარყოფითი ფაქტორების გავლენა.

არჩევნების პროცესის თანმდევი კომპონენტი - საარჩევნო გარემო

“გრძელვადიანი დამკვირვებლის სამუშაო რთული, მაგრამ იმავდროულად საინტერესოა. გრძელვადიანი დამკვირვებლის სამსახური ადამიანს საშუალებას აძლევს ნათლად დაინახოს არჩევნების პროცესის რეალობა მისი მსვლელობისას ადგილობრივ დონეზე და თავად დაინახოს წინასაარჩევნო გარემოს უნიკალური ხასიათი ძალზე შეზღუდული დროის პირობებში.”

*ქრისტიან შტროპალი, დირექტორი,
ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და
ადამიანის უფლებათა დაცვის ბიურო
(OSCE/ODIHR), 2008 წ.*

არჩევნების პროცესი არ იქნება სრულყოფილი შესაბამისი დაკვირვების გარეშე. არჩევნების დაკვირვება – როგორც დემოკრატიული ინსტიტუტის ნაწილი – უდავოდ ძალზედ მნიშვნელოვანია. დღეს მსოფლიოში შექმნილია მრავალი სასწავლო პროგრამა და სახელმძღვანელო, რომელიც საგულდაგულოდ ასწავლის არჩევნების დაკვირვების ტექნოლოგიასა და სამართლებრივ ბაზას. ერთ-ერთი ასეთი ინსტიტუტის (OSCE/ODIHR) სახელმძღვანელო პრინციპები ცალკე გამოყოფს დამკვირვებლის პასუხისმგებლობას და ამ პასუხისმგებლობათა საერთო ჩამონათვალში (სულ 8 პასუხისმგებლობა და პრინციპი) მე-2 ადგილზეა საარჩევნო გარემო დანარჩენ მნიშვნელოვან პუნქტებს შორის, მაგალითად, როგორცაა საარჩევნო ადმინისტრაცია, საჩივრები, ქალთა მონაწილეობა და სხვა.

„პუნქტი №2. წინასაარჩევნო პოლიტიკურ გარემოსა და საარჩევნო კამპანიის ყველა ასპექტზე, მათ შორის, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა დაცვასა და საარჩევნო პროცესის ზეწოლისაგან თავისუფლებაზე დაკვირვება, შეფასება და ანგარიშგება.“²

არჩევნებზე შეფასებები ეყრდნობა ყოვლისმომცველ ინფორმაციას არჩევნების საერთო კონტექსტის, სამართლებრივი სისტემის, საარჩევნო სისტემის, პოლიტიკური სიტუაციის,

² არჩევნებზე გრძელვადიანი დამკვირვებლების სახელმძღვანელო, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ბიურო (ODIHR), 2007 წ.

მედია გარემოსა და უმცირესობებისა და გენდერული საკითხების შესახებ, რომელიც ჯამურად განიხილება და ერთობლიობაში ქმნის საარჩევნო სამართლიან ან უსამართლო გარემოს.

კონფლიქტისა და პოსტ-კონფლიქტური ზონების, ისევე როგორც ქვეყნების სპეციფიკა რა თქმა უნდა გამოიხატება არჩევნებში და მათ დაკვირვებაში. თუ არჩევნებზე დაკვირვება ზოგადად სამოქალაქო საქმიანობაა, კონფლიქტის შემდგომ პერიოდში, სავსებით შესაძლებელია, რომ არჩევნებზე დაკვირვება ხორციელდებოდეს მათი მონაწილეობით, თუ შექმნილია სათანადო უსაფრთხო გარემო, რომელშიც დამკვირვებლებსა და ექსპერტებს შეუძლიათ მუშაობა და ასევე შესაბამისი უსაფრთხო გარემო ჯეროვანი არჩევნების ჩასატარებლად.

არჩევნებზე დაკვირვება კარგავს თავის ფასეულობას, თუკი ის ხორციელდება უსაფრთხოების მკაცრი მარეგულირებელი ნორმების პირობებში, მათ შორის, შეიარაღებული დაცვით.

საარჩევნო გარემო შეიძლება რამოდენიმე კომპონენტით შეფასდეს. თუმცა დღეს ისევ მიმდინარეობს უფრო მეტი დისკუსია იმ საკითხზე, რა კონკრეტული მიმართულება შედის და ან აყალიბებს (პირდაპირ თუ არაპირდაპირ) საარჩევნო გარემოს, უფრო მეტად უნდა მოხდეს დეტალიზება თუ, პირიქით, უნდა უფრო განზოგადდეს შემავალი კომპონენტები.

საარჩევნო გარემოს სამართლიანი შეფასებისთვის ჩამონათვალი დიდია (და არა მხოლოდ მოცემული):

- საარჩევნო ადმინისტრაცია, მისი შექმნის პირობები;
- საჩივრები და სააპელაციო განცხადებები;
- ამომრჩეველთა სიები;
- კანდიდატთა რეგისტრაცია;
- საარჩევნო კამპანია;
- შეკრების, გაერთიანებისა და გამოხატვის თავისუფლება;
- კამპანის ფარგლებში ძალადობისგან თავისუფლება;
- დაშინებისაგან თავისუფლება;
- საერთო რესურსების არასათანადო გამოყენება;
- კამპანიის დაფინანსება;
- კამპანიის ნაადრევი დაწყების;
- მედია;
- გენდერი;
- ეროვნული უმცირესობები.

მოკლედ განვიხილოთ ყოველივე ზემოთქმული:

საარჩევნო ადმინისტრაცია, მისი შექმნის პირობები

საზოგადოდ, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, საარჩევნო კომისიებს, საკმარისად ფართო ძალაუფლება გააჩნიათ იმისათვის, რომ განახორციელონ და სისრულეში მოიყვანონ საარჩევნო კანონმდებლობა. ისინი პასუხისმგებელი არიან არჩევნების ტექნიკურ მომზადებაზე. მათი ეფექტიანობა მთავარი ელემენტია იმისათვის, რომ არჩევნების პროცესი შეესაბამებოდეს ადგილობრივ და საერთაშორისო ვალდებულებებსა და დემოკრატიული არჩევნების სხვა საერთაშორისო სტანდარტებს.

სარჩევნო კომისიების ფორმირება განსხვავებულად ხდება სხვადასხვა ქვეყანაში. ეუთო-ს ტერიტორიაზე, საარჩევნო კომისიები, ხშირ შემთხვევაში, სტრუქტურირებულია იერარქიულად, ცენტრალური საარჩევნო კომისიით, რომელიც პასუხისმგებელია მთლიანად

არჩევნების მსვლელობაზე, რიგი მუნიციპალური და/ან რეგიონალური საარჩევნო კომისიებით და საუბნო საარჩევნო კომისიებით თითოეული საარჩევნო უბნისათვის.

საარჩევნო კომისიაში შეიძლება შედიოდნენ პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული პირები ან წამყვანი სახელმწიფო დაწესებულებების წარმომადგენლები. ზოგჯერ, კომისიები შედგენილია მრავალპარტიული ფორმულის შესაბამისად, ზოგ შემთხვევაში კი ისინი შეიძლება იყოს პროფესიული და არაპარტიული.

ინფორმაცია³:

არასამთავრობო ორგანიზაციამ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ 2010 წლის 22 ივნისს სასტუმრო „ვერე პალასში“ მათ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები წარადგინა. კვლევა 2010 წლის თებერვლიდან განხორციელდა და მიზნად ისახავდა საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობისა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეფასებას. კვლევამ აჩვენა, რომ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საჯარო ინფორმაცია ხელმისაწვდომი და გამჭვირვალეა. კვლევამ აჩვენა, რომ ინფორმაციის მოწოდების მხრივ, ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა ცენტრალური საარჩევნო კომისია, ასევე უზენაესი სასამართლო და კონტროლის პალატაც.

საჩივრები და სააპელაციო განცხადებები

საჩივრებისა და სააპელაციო განცხადებების განხილვის ეფექტიანი და მიუკერძოებელი პროცესი წარმოადგენს დემოკრატიული არჩევნების ძირითად არსს. მოქალაქეებს, კანდიდატებსა და პარტიებს უნდა ჰქონდეთ იმის უფლება, რომ მოითხოვონ სამართლიანობის აღდგენა, თუკი თვლიან, რომ მათი საარჩევნო უფლება ირღვევა. გარდა ამისა, უფლებაშელახული პარტიისათვის არ იქნება საკმარისი, თუკი გადაწყვეტილება მის სასარგებლოდ იქნება მიღებული; გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გამოტანილი, რათა მას აზრი ჰქონდეს არჩევნების კონტექსტში და ეფექტიანად აღსრულდეს.

სააპელაციო განცხადებები შეიძლება იყოს საარჩევნო პროცესის სადაო ელემენტი. მათი მნიშვნელობის გამო, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს საჩივრების განხილვის პროცესს.

საჩივრებისა და სააპელაციო განცხადებების განხილვის პროცედურები განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. ხშირ შემთხვევაში, მომჩივნების მიერ შეტანილი სააპელაციო განცხადებები განიხილება საარჩევნო კომისიაში და მხოლოდ მას შემდეგ მიდიან ისინი სასამართლოში.

დაესწრება რეგიონალური საარჩევნო კომისიის სხდომებზე, რომლებიც ეძღვნება საჩივრების განხილვასა და სასამართლო პროცესებს, უკიდურესად მნიშვნელოვანია. დამსწერმ უნდა შეაფასოს, თუ რამდენად სამართლიანად, მიუკერძოებლად და დროულად ხდება საჩივრის განხილვა.

საბოლოო ჯამში, არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ უნდა შეაფასოს საჩივრებისა და სააპელაციო განცხადებების განხილვის პროცესი მთლიანობაში, იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელსაც ის იღებს ქვეყანაში. ეს უნდა შესრულდეს ყველა გრძელვადიანი დამკვირვებლისა და ძირითადი ჯგუფის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. ეს ინფორმაცია, ზოგადად, სასამართლოსადმი ნდობა და, მედიით გავრცელებული ინფორმაცია ერთობლივად აყალიბებს საზოგადოების განწყობას (რწმენას/უდობლობას) არჩევნებთან მიმართებაში.

³ http://www.cec.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=13&info_id=7196

ამომრჩეველთა სიები

ამომრჩეველთა სიები მნიშვნელოვანი ფაქტორია არჩევნების დღეს ამომრჩეველების კანონიერი საარჩევნო უფლების უზრუნველყოფისათვის. სწორად ამომრჩეველთა შედგენილი სიები ხელს უწყობს საარჩევნო თაღლითობის, როგორცაა ხმის მრავალჯერადი მიცემა, ან ხმის მიცემა გარდაცვლილი ან რეგიონიდან გადასული ადამიანების სახელით, თავიდან აცილებას.

ხმის უფლების მქონე ამომრჩეველების რაოდენობის აღრიცხვით, ამომრჩეველთა სიები ხდება შედარების პირველადი წყარო დაბეჭდილი და გამოყენებული ბიულეტენების დათვლისას.

ამომრჩეველთა ზუსტი სიების მომზადება ერთ-ერთი ყველაზე რთული და წინააღმდეგობრივი ამოცანაა ნებისმიერი საარჩევნო ადმინისტრაციისათვის; ამომრჩეველთა სიების მდგომარეობა იშვითად არის იდეალური. მაგალითად, გარდაცვლილი ადამიანების სახელების ამოღება სიიდან, ხშირად, მათი გარდაცვალებიდან საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ ხდება.

მრავალ ქვეყანაში საარჩევნო ადმინისტრაცია ვერ ახერხებს დროულ რეაგირებას მოვლენებზე და ამომრჩეველთა სიების განახლება არ ხდება სათანადოდ.

პროცესი კიდევ უფრო რთულია ისეთ ქვეყნებში, სადაც ხმის უფლება ჯარისკაცებს, ლტოლვილებსა და კონკრეტული ქვეყნის მოქალაქეობის არმქონე პირებს ეძლევა არა ყოველ, არამედ ზოგიერთი არჩევნების შემთხვევაში, რაც მოითხოვს ამომრჩეველთა სიების მისადაგებას სხვადასხვა ტიპის არჩევნებისათვის.

როგორც არ უნდა იყოს ამომრჩეველთა რეგისტრაციის ეროვნული პროცედურა, დემოკრატიული სისტემის ძირითადი ელემენტი მდგომარეობს იმაში, რომ ყველა ამომრჩეველი უნდა იყოს ავტომატურად რეგისტრირებული ან უნდა არსებობდეს რეგისტრაციის მარტივი და იოლი პროცედურა.

სისტემა უნდა იყოს გამჭვირვალე, რათა მოქალაქეებს, პოლიტიკურ პარტიებს ან სხვებს შეეძლოთ ამომრჩეველთა სიების შემოწმება და მათი სიზუსტის შეფასება. ასევე უნდა არსებობდეს მარტივი და გავრცელებული სისტემა, სიებში შეცდომებისა და გამოტოვებების შესწორებისათვის.

ქვეყნის კანონმდებლობიდან გამომდინარე, ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცესი შეიძლება იყოს აქტიური ან პასიური. აქტიურ სისტემაში, ამომრჩეველმა თავად უნდა მიიღოს ზომები იმისათვის, რომ მისი სახელი დარეგისტრირდეს ამომრჩეველთა სიაში. ქვეყნებში, სადაც ამომრჩეველთა რეგისტრაციის სისტემა პასიურია, ცალკეულ პირებს არ მოეთხოვებათ რაიმე ზომის მიღება; ამომრჩეველთა სიები ივსება მუნიციპალურ სისტემაში არსებული სამოქალაქო ჩანაწერების შესაბამისად.

სამოქალაქო ჩანაწერების წარმოება სახელმწიფო დაწესებულებების, მაგალითად, იუსტიციის სამინისტროს რეგიონალური ოფისების სამართლებრივი პასუხისმგებლობის საგანია. ხშირ შემთხვევაში, გამოყენებული პირველადი ჩანაწერები დაკავშირებულია პირის საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან. ზოგ შემთხვევაში, ადგილობრივი ადმინისტრაცია ახორციელებს ე.წ. „კარ-დაკარ“ რეგისტრაციის პროცესს.

მნიშვნელოვანია, დადგინდეს, თუ რამდენად დაცულია რეგისტრაციის აუცილებელი პროცედურები და არის თუ არა რაიმე საგულისხმო პრობლემა სიებთან დაკავშირებით. უნდა შეადარდეს დარეგისტრირებული ამომრჩეველების რაოდენობა წინა არჩევნებზე აღნიშნულ რაოდენობას. თუკი განსხვავება მნიშვნელოვანია, მოსათხოვნია ინფორმაცია იმ გარემოებების შესახებ, რომლებსაც შეიძლება გამოეწვია ამგვარი განსხვავება.

რამდენადაც გარეშე ადამიანისათვის პრაქტიკულად შეუძლებელია დამოუკიდებლად შეაფასოს სიაში შეტანილი სახელების სიზუსტე, ძალზე მნიშვნელოვანია, ადგილობრივმა წარმომადგენლებს, მაგალითად კანდიდატებმა, პოლიტიკურმა პარტიებმა, სამოქალაქო ლიდერებმა ან სხვა პირებმა, ისაუბრონ მათ შეხედულებაზე სიების ხარისხის შესახებ. საჩივრები შეიძლება ერთი შეხედვით იყოს კომიკური (მაგ., „ჩემი მეზობლის პაპა ორი წლის წინ გარდაიცვალა, მაგრამ ჯერაც სიაშია“). თუკი პოლიტიკურ პარტიას ან სხვა პირს გააჩნია სერიოზული საფუძველი გაასაჩივრონ სიების ხარისხთან დაკავშირებული საკითხი, მათ უნდა მოითხოვონ ამ საჩივრის კონკრეტული, დეტალური მტკიცებულება.

ამომრჩეველთა სიების დეტალური შემოწმების ერთ-ერთი ასპექტია რეგისტრაციის პროცესის გამჭვირვალობა. არსებობს ამომრჩეველთა სიების გმოქვეყნების მოთხოვნა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია იმის შეფასება, თუ რამდენად შეუძლიათ სიებში შესწორების შეტანა მათ, ვისაც სურთ ამის გაკეთება და შესაძლებელია თუ არა გადაწყვეტილების გასაჩივრება.

ნებისმიერი მინიშნება იმის თაობაზე, რომ გარკვეული ამომრჩეველები, ან ამომრჩეველთა ჯგუფი სისტემატური ზეწოლის ქვეშ იმყოფებიან და მათ რეგისტრაციას განზრახ ეშლება ხელი, წარმოადგენს სერიოზულ წინააღმდეგობას საყოველთაო საარჩევნო უფლების აღსრულებისათვის. სიტუაცია კიდევ უფრო გართულდება, თუ გაჩნდება იმის ვარაუდი, რომ არსებობს გარკვეული მოქალაქეების ან კონკრეტული თემების არჩევნებში მონაწილეობის უფლების დათრგუნვის წინასწარი გეგმა.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ეროვნული უმცირესობების ჩართვას, მაგალითად, ბოშების თემის, მათ შორის, ამომრჩეველბთან საგანმანათლებლო მუშაობის ჩატარების გზით.

ასევე შეიძლება წამოიჭრას ქალების, გადაადგილებული პირების, სამხედრო მოსამსახურეების ან საავადმყოფოს პაციენტების რეგისტრაციის საკითხიც. როდესაც ამგვარი პირობები თვალსაჩინო ხდება, უნდა გაირკვეს, თუ რა სახის ძალისხმევა ხორციელდება იმ წინააღმდეგობების გადასალახად, რომლებიც ხელს უშლის საზოგადოებას პროცესში მონაწილეობაში და არსებობს თუ არა რაიმე მტკიცებულება იმისა, რომ ამ ძალისხმევას მოჰყვება დადებითი ეფექტი.

კანდიდატთა რეგისტრაცია

მოქალაქეთა უფლება წარადგინონ საკუთარი კანდიდატურა, დემოკრატიული საარჩევნო პროცესის ერთ-ერთი ფუნდამენტალური ელემენტია. ამდენად, შეფასება, თუ რამდენად ღია, გამჭვირვალე, დისკრიმინაციისაგან თავისუფალი და სამართლიანია პარტიებისა და კანდიდატების რეგისტრაციის პროცესი – უდავოდ მნიშვნელოვანი ინფორმაციაა.

ხშირად, კანდიდატები და პარტიები რეგისტრირდებიან ეროვნულ დონეზე; ამგვარ შემთხვევებში, ძირითად პასუხისმგებლობას პროცესის შეფასებაზე იღებს ძირითადი ჯგუფი. სხვა შემთხვევებში, როდესაც პარტიები და კანდიდატები რეგისტრირდებიან რეგიონალურ ან ადგილობრივ დონეზე, პროცესის შეფასების პასუხისმგებლობა ეკისრებათ დამკვირვებლებს.

ძალზე მნიშვნელოვანია, პროცესისა და პროცესისადმი კანდიდატებისა და პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულების შეფასება.

წინასაარჩევნო კამპანია, მისი შეფასება და მასზე დაკვირვების წარმოება მნიშვნელოვანია იმ ზოგადი პოლიტიკური გარემოს შეფასებისთვის, რომელშიც ხორციელდება კამპანია და, არჩევნები, კონკრეტულად. კამპანიის ატმოსფეროსა და ხარისხის შეფასება, პოლიტიკურად მოტივირებული ნებისმიერი ძალადობის აქტის შესახებ ანგარიშგება ქმნის იმ სურათს,

რომელიც საბოლოოდ განსაზღვრავს არჩევნების ხარისხს და ახსნის არჩევნების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებას.

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა დაცვას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს კამპანიის პერიოდის დემოკრატიული ხასიათისათვის. ყველა მონაწილეს უნდა ჰქონდეს შეკრების, გაერთიანებისა და გამოსატყვის თავისუფლება. ამდენად, მათ უნდა შეეძლოს თავისუფლად გაავრცელონ თავიანთი კამპანიის შეტყობინებები და შეხვდნენ ელექტორატს ხელის შეშლისა და წინააღმდეგობების შექმნის გარეშე.

დონე, რომელზეც კამპანიის პერიოდი უზრუნველყოფს თანაბარ პირობებს ყველა კანდიდატისათვის, სანდო მახვენებელია არჩევნების მთლიანი პროცესის შეფასებისათვის.

შეფასებისთვის ერთ-ერთი მაჩვენებელია არჩევნების სუბიექტების, საარჩევნო კანდიდატთა აზრი საარჩევნო ადმინისტრაციისა და კამპანიის მსვლელობის შესახებ და საჩივრები ან სირთულეები, რომლებსაც ისინი აწყდებიან.

ეს ინფორმაცია (ხშირად სატელევიზიო და ან საგაზეთო/ელექტრონული სახით) და, მიმდინარე მოვლენათა ანალიზი, ასევე, ინტერპერსონალური მონათხრობი, აჩვენებს საზოგადოებას, შეხვედრით თუ არა პარტიებს რაიმე წინააღმდეგობა ან ხელის შეშლა კამპანიის ფარგლებში შეკრებებისა და თავყრილობების მოწყობის მცდელობისას.

პოლიტიკური თავყრილობების ნებისმიერი გაუმართლებელი შეზღუდვის ან ფავორიტიზმი, რომელიც მდგომარეობს გარკვეულ ადგილებში თავყრილობის ნებადართვაში მხოლოდ კონკრეტული პარტიებისა თუ კანდიდატებისათვის, უკვე უტყუარი დამატებითი ნიშანია უსამართლო, ტენდენციური, არაჯანსაღი და გამორჩეული მიდგომისა საარჩევნო სუბიექტებისადმი.

თუკი პარტიებს ან კანდიდატებს უარს ეუბნებიან თავყრილობის გამართვის ნებადართვაზე, საზოგადოებამ, დამკვირვებლებმა უნდა იცოდნენ, თუ რამდენად გამართლებული ან უსაფუძვლო იყო ეს უარი.

კამპანიის ფარგლებში ძალადობის შემთხვევები განსაკუთრებულად საყურადღებოა არჩევნების შეფასებისთვის, თუ რამდენად სამართლიანი და ჯანსაღი საარჩევნო გარემოა უზრუნველყოფილი.

დემოკრატიული არჩევნების პროცესში ძალადობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს და ნებისმიერი ძალადობა უნდა იგმობოდეს. კამპანიის ფარგლებში მომხდარი ნებისმიერი ძალადობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიათა სათაო ოფისებს და, ასევე, შესაბამისი სტრუქტურები (პოლიციასა) უნდა იყვნენ საქმის კურსში ოფიციალური განცხადებებითა და საჩივრების ფორმით.

დაშინებისაგან თავისუფლება: კანდიდატებზე, პარტიებზე ან ამომრჩევლებზე ზეწოლის ნებისმიერი მინიშნების შესახებ ინფორმაცია აგრეთვე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია არჩევნების მთლიანი პროცესის შეფასებისათვის, კერძოდ კი, საარჩევნო სამართლიანი გარემოს უზრუნველყოფის კუთხით.

როგორც წესი, უკიდურეს შემთხვევებში, დაშინება შეიძლება მოიცავდეს ძალადობას, დაკავებას, დაპატიმრებას ან საინფორმაციო საშუალებების დახურვას. დაშინების ზოგიერთი ფორმა უფრო დახვეწილია და, ამდენად, შეიძლება უფრო რთული იყოს მისი დამტკიცება. მაგალითად, ცალკეული პირები, ან მედია, რომელიც მხარს უჭერს გარკვეულ პარტიას ან კანდიდატს, შეიძლება გახდეს მოულოდნელი საგადასახადო აუდიტის ობიექტი წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას. მაღაზიის მესაკუთრეები შეიძლება დაშინების გზით აიძულონ, უარი თქვან მაღაზიაში კონკრეტული პარტიის ან კანდიდატის პლაკატების გამოფენაზე. მოქალაქეებს შეიძლება შეეშინდეთ სამსახურიდან

განთავისუფლების ან სასწავლო დაწესებულებიდან გარიცხვის, კონკრეტული პარტიის ან კანდიდატის მხარდაჭერის გამო.

დაშინების შესახებ შეტყობინებებს, ამ შეტყობინებათა ქრონოლოგიას და სტატისტიკას უშუალო გაგენა აქვს იმაზე, თუ რამდენად აკმაყოფილებს არჩევნები ეუთო-ს ვალდებულებებს⁴. შეფასება ამ შემთხვევაში გასაკეთებელია: არის თუ არა ეს ეროვნული მოდელის ნაწილი, თუ უბრალოდ ცალკეული შემთხვევაა.

საერთო რესურსების არასათანადო გამოყენება - კიდევ ერთი ტენდენციაა, არასათანადო საარჩევნო გარემოში. ეს გამოიხატება კონკრეტული პარტიისა თუ კანდიდატის მხარდაჭერის მიზნით საერთო რესურსების გამოყენებაში. კანონები, რომლებიც ეხება საერთო რესურსებსა და საჯარო მოხელეების მიერ კამპანიის წარმოებას, განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნებში. პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში, თანამდებობის პირები პოულობენ გზას, როგორ გამოიყენონ თავიანთი თანამდებობრივი უპირატესობა, თუნდაც სახელის ცნობადობით, ოფიციალური საქმიანობის ტელევიზიით გაშუქებითა და ძალაუფლებასთან სიახლოვიდან გამომდინარე, მათი ცნობადობით.

სპეციალური მომზადების გარეშე, ადამიანები ხშირად მარტივად ხვდებიან, თუ რამდენად ხდება იმ უპირატესობებით სარგებლობა, რომელიც თანამდებობრივია, საერთო-საქვეყნო და სპეციალურადაა გამოყენებული საარჩევნო კამპანიაში. ეს მიდგომა არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს საარჩევნო სუბიექტებს, აჭარბებს კანონიერ ლიმიტებს და/ან ძირს უთხრის თანასწორობის ფუნდამენტურ პრინციპებს.

აღნიშნული დარღვევები შეიძლება მოიცავდეს სამთავრობო ოფისის გამოყენებას პარტიის სათაო ოფისად, სახელმწიფო ავტომანქანებით ან სხვა სახელმწიფო საკუთრებით სარგებლობას კამპანიის მიზნებისათვის, სამთავრობო დაწესებულების შენობებში მხოლოდ თანამდებობების პირების პლაკატების გამოფენას, კამპანიის მიზნებისათვის სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ადგილების პრეფერენციულ ხელმისაწვდომობას, საზოგადოებრივი მედიის მიკერძოებულობას თანამდებობის პირებისადმი, ზეწოლას სახელმწიფო მოხელეებზე თანამდებობის პირის პარტიისათვის მხარდაჭერის აღმოჩენის მოთხოვნით ან იმის მოთხოვნას, რომ სახელმწიფო დაწესებულების თანამშრომლები, სტუდენტები და სკოლის მოსწავლეები დაესწონ კამპანიის ფარგლებში გამართულ თავყრილობებს.

კამპანიის დაფინანსება კიდევ ერთი საყურადღებო საკითხია საარჩევნო გარემოში. ზოგადად, კამპანიის დაფინანსების საკითხების შეფასება უფრო სხვა ტიპის ამოცანაა, ვიდრე ჩვეულებრივი სამოქალაქო ინტერესი, თუმცა კამპანიის დაფინანსებისა და ხარჯების გაწვევის წესები ხელმისაწვდომი და საჯარო უნდა იყოს. ზეგავლენა კანდიდატებზე კამპანიის დაფინანსება და ხარჯების გაწვევის შეზღუდვა – თავისთავად დამოუკიდებელი ინდიკატორებია საარჩევნო გარემოს შეფასებებისათვის.

მაგალითად, თუკი ხარჯის ზღვარი ძალზე დაბალია, ამან შეიძლება შეუძლებელი გახადოს კანდიდატისათვის მისი „შეტყობინების“ გავრცელება. თუკი კანდიდატების კამპანიებს სახელმწიფო აფინანსებს, თანხის გადარიცხვის ნებისმიერმა შეყოვნებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს ზოგიერთი კანდიდატის კამპანიაზე.

⁴ არჩევნებზე გრძელვადიანი დამკვირვებლების სახელმძღვანელო, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ბიურო (ODIHR), 2007 წ.

საზოგადოდ, კამპანიის დაფინანსება რთული საკითხია შესაფასებლად. რამდენადაც მისი გახსნა, მოთხოვნის შემთხვევაში, არჩევნების დასრულების შემდეგ ხდება და შეიძლება რთული აღმოჩნდეს იმის გარკვევა, თუ რა თანხა დაიხარჯა კამპანიის წარმოებისათვის.

კამპანიის ნაადრევი დაწყების თავიდან აცილების ნიადაგზე სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა ნებისმიერ დარღვევა მოსდევს ხშირად.

მიუხედავად იმისა, რომ ძალზე მნიშვნელოვანია ყველა კანდიდატისათვის ოფიციალური კამპანიის დაწყების ერთნაირი განრიგის უზრუნველყოფა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ პოტენციური კანდიდატების გადაადგილებისა და გამოხატვის უფლება უნდა შეიზღუდოს ოფიციალური კამპანიის პერიოდის დაწყებამდე. ეს პუნქტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ გარემოში, რომელიც ხასითდება თანამდებობის პირების არასათანადო უპირატესობებით.

მედიის⁵ მონიტორინგი სტანდარტულ კომპონენტია არჩევნების გარემოს შესაფასებლად⁶. არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიათა მედიის ანალიტიკოსების პასუხისმგებლობა არის ეროვნული ტელევიზიისა და მსხვილი ეროვნული გაზეთების მონიტორინგის განხორციელება.

დღეს საზოგადოებრივის კარგადაა ცნობილი საინიციატივო ჯგუფის (ლ.ტულუში, ვ. ხმალაძე, ...) მიერ მომზადებული კანონპროექტა პაკეტი, რომელიც მიზნად ისახავს მედია-გარემოს გაჯანსაღებას.

თუმცა აღსანიშნავია, რომ არსებობს განსხვავებანი საზოგადოებრივი და კერძო მედიის შეხედულებებს შორის. სახელმწიფო ან საზოგადოებრივ მედიას აკისრია კამპანიის დაბალანსებული და მიუკერძოებელი გაშუქების პასუხისმგებლობა. კერძო მედიამ უნდა უზრუნველყოს გონივრული გაშუქება და თანასწორი მოპყრობა, მაგრამ, თუკი ქვეყანაში არ არსებობს ეროვნული კანონი, რომელშიც ჩადებულია საწინააღმდეგო მოთხოვნა, კერძო მედიისათვის არ არის უჩვეულო კონკრეტულ პარტიასთან ან კანდიდატთან კავშირი და მისი მხარდაჭერა.

საარჩევნო კანდიდატებისთვის მედიის საშუალებების ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანი ინდიკატორია. თუმცა, ძალზე იშვიათია კანდიდატი, რომელიც კმაყოფილია მედიის მიერ მისი კამპანიის გაშუქებით.

ასევე ღირს იმის შეფასების ცდა, თუ რა წყაროდან იღებენ ამომრჩევლები ინფორმაციას და აქვს თუ არა საჯარო სამსახურების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას სასარგებლო ზეგავლენა ამომრჩეველთა განათლებასა თუ ხმის მიღებაზე.

ინფორმაცია⁷:

2010, 23 დეკემბერს სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საზოგადოებრივი საკონსულტაციო საბჭოს მესამე შეხვედრა გამართა. ცესკოს მიერ ჩამოყალიბებულ საბჭოს შემადგენლობაში შედიან საარჩევნო საკითხებში ჩართული პოლიტიკური პარტიების, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, მედია საშუალებების წარმომადგენლები და დამოუკიდებელი ექსპერტები.

შეხვედრის თემა იყო „მედია და არჩევნები“, კერძოდ მედიის მუშაობა და ჩართულობა საარჩევნო პროცესებში.

⁵ დღეს მიმდინარე კანონპროექტთა ლობირების პროცესი (ტულუში, ხმალაძის ჯგუფის მოკლე ისტორია)

⁶ 1994 წლის ბუდაპეშტის სამიტის დოკუმენტში დასმული ამოცანის შესრულებისათვის აუცილებელი კომპონენტია მედიის მონიტორინგი სამართლიანი არჩევნების გარემოს შესაფასებლად ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიისთვის.

⁷ ცესკომ საზოგადოებრივი საკონსულტაციო საბჭოს მესამე შეხვედრა გამართა - http://www.cec.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=13&info_id=7457

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მოწვეულ სტუმრებს წარუდგინა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისთან, ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიასა და ადამიანის უფლებათა გენერალურ დირექტორთან, ასევე ევროკომისიასთან თანამშრომლობით მომზადებული „სადამკვირვებლო მისიების დროს მედიის ანალიზის გზამკვლევი“. დოკუმენტი გვთავაზობს ეუთოს, ევროკავშირის და ევროსაბჭოს არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიების კონტექსტში მედიაზე დაკვირვებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხების ზოგად მიმოხილვას, რაც მოიცავს სამართლებრივ ნორმას, რომელიც არეგულირებს მედიის ქცევას საარჩევნო კამპანიის დროს, პოლიტიკურ და მედია სისტემებს შორის ურთიერთკავშირს და მედიის ჩართულობის მონიტორინგისთვის გამოყენებულ მეთოდებს.

გაიმართა დისკუსია, სადაც მხარეები შეთანხმდნენ შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც იმუშავებს აღნიშნულ საკითხზე.

გენდერი⁸

საარჩევნო გარემო – მნიშვნელოვანია არჩევნების პროცესის ზეგავლენა როგორც მამაკაცებზე, ისე ქალებზე, როდესაც საუბარია იმაზე, თუ რამდენად აკმაყოფილებს არჩევნები საერთაშორისო სტანდარტებს. გენდერული საკითხები დაკავშირებულია არჩევნების ყველა ასპექტთან და, ამდენად, არჩევნების შეფასების, საარჩევნო გარემოს სამართლიანობის განუყოფელი ნაწილია.

ქალთა არჩევნებში მონაწილეების მონიტორინგის სახელმძღვანელოში მოცემულია დეტალური ინფორმაცია და მითითებები არჩევნების პროცესში გენდერული საკითხების შეფასების შესახებ.

არჩევნების გარემოს შეფასებებზე მუშაობა მოიცავს ქალთა, როგორც ამომრჩეველთა, კანდიდატთა და არჩეულ წარმომადგენელთა არჩევნებში მონაწილეობის მოსაზრებებს; ქალის, როგორც ლიდერის პოზიცია სახელმწიფო დაწესებულებებში, საარჩევნო კომისიასა და პოლიტიკურ პარტიაში; სამართლებრივი სისტემა და მედიის სტრუქტურის ზეგავლენა როგორც ქალებზე, ისე მამაკაცებზე. გენდერული მონიტორინგის დატვირთვაა, ინფორმაციის მოგროვება და იმის შეფასება, თუ რამდენად აკმაყოფილებს ეროვნული კანონმდებლობა თუ პრაქტიკა საერთაშორისო სტანდარტებს.

საქვეყნო მასშტაბით არჩევნების პროცესში ქალების მონაწილეების შესახებ ინფორმაცია წარმოადგენს ქალთა უფლებების, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი თანაბარი მონაწილეობის, დისკრიმინაციის დაძლევაზე ორიენტირებული რეფორმების (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) შესაძლებლობას.

ეროვნული უმცირესობები⁹

ისევე, როგორც გენდერის შემთხვევაში, არჩევნების სამართლიანი გარემო ფასდება იმითაც, თუ როგორ და კონკრეტულად რა ზეგავლენას ახდენს არჩევნების პროცესი ეროვნულ უმცირესობებზე და რამდენად არის არჩევნებში მათი წარმომადგენლობა და მონაწილეობა უზრუნველყოფილი.

არჩევნების პროცესში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობის ხელშეწყობის მიმართულება პირდაპირ დათვლილი და ხელმისაწვდომი ინდიკატორებით შეიძლება შეფასდეს, რათა საზოგადოებისთვის მარტივი და ადვილად გასაგები იყოს სამართლიანი არჩევნების პროცესში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობის შედეგები.

⁸ ქალთა ორგანიზაციების მიერ უკვე მომზადებული 3 სხვადასხვა სტრატეგია - კანონპროექტთა პაკეტი ქალთა გასააქტიურებლად არჩევნებში (წყარო - კავკასიის ქალთა ქსელი, ქალთა განათლების საერთაშორისო ცენტრი, ქალთა პოლიტიკური და გენდერული რესურს-ცენტრი)

⁹ არსებობს ეროვნულ უმცირესობათა ორგანიზაციების მიერ შემუშავებული საკანონმდებლო რეკომენდაციები (წყარო: მრავალეროვანი საქართველო, მის ქოლგის ქვეშ მომუშავე მრავალი /57/ ეთნიკური წარმომადგენლობის და დიასპორათა ორგანიზაციები)

ეროვნულ უმცირესობების მონაწილეობა არჩევნების პროცესში როგორც საარჩევნო კომისიის წევრების, კანდიდატებისა და, ბოლოს, როგორც ამომრჩევლების ჩართულობა - სამართლიანი საარჩევნო გარემოსა და თვით არჩევნების განუყოფელი კომპონენტია.

ინფორმაცია¹⁰:

2010 წლის 14-17 დეკემბერს, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ ჩატარდა კონფერენცია-სემინარი თემაზე: „საქართველოს რეგიონებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობა ეროვნული უმცირესობის ინტეგრაციის მიზნით“. კონფერენციას ესწრებოდნენ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციულ საკითხთა სამმართველოს უფროსი ნუგზარ კუპრეიშვილი და საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი ქეთევან კორინთელი, რომლებიც შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით შექმნილი სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის წევრები არიან.

ჩვენს რეალობაში საარჩევნო ადმინისტრაციასთან მიმართებაში რამოდენიმე მიდგომა არსებობს საარჩევნო სუბიექტების, ოპოზიციური პარტიების მხრიდან.

გასულ 2010 წელს, თებერვალში, ადგილობრივი არჩევნების ჩატარებამდე ოპოზიციურმა პარტიებმა გამოაცხადეს საკუთარი მოთხოვნები¹¹. ეს მოთხოვნები მათი განცხადებით ემსახურება სამართლიანი საარჩევნო გარემოს შექმნასა და დამკვიდრებას. ხელმომწერი 10 პოლიტიკური პარტია 4 ძირითად პუნქტზე შეთანხმდა:

1. ამომრჩეველთა ახალი ერთიანი სიის შედგენა, სადაც დღეს არსებულ სარეგისტრაციო მონაცემებს დაემატება ამომრჩევლის ბიომეტრიული ფოტოსურათი. ამ მეთოდით მნიშვნელოვნად დაიხვეწება საარჩევნო სიები, ფაქტობრივად, გამოირიცხება მასში ერთი და იგივე პირის რამდენჯერმე დარეგისტრირება და არჩევნების დღეს კენჭისყრაში ნებისმიერი ამომრჩევლის მრავალგზის მონაწილეობა.
2. არჩევნების დღეს ყალბი ბიულეტენებით ხმის მიცემის თავიდან ასაცილებლად საარჩევნო კომისიის ბეჭედს კენჭისყრის დაწყებამდე და კენჭისყრის დასრულების შემდეგ გაუკეთდეს თითო ნაკვეთური, რაც გამოირიცხავს ბეჭდის გამოყებით ბიულეტენების შევსებას ხმის მიცემის პროცედურის დაწყებამდე და მისი დასრულების შემდეგ. ამით მნიშვნელოვნად შემცირდება არჩევნების მასობრივი ფალსიფიკაციის შესაძლებლობა;
3. არჩევნების დღეს, ხმის მიცემის დასრულების შემდეგ, საარჩევნო ყუთის გახსნამდე უნდა დაითვალოს კენჭისყრაში მონაწილეთა რაოდენობა, შედგეს სპეციალური ოქმი, გადაეცეს მისი ასლი პარტიებისა და სადამკვირვებლო მისიების წარმომადგენლებს, ხოლო შედეგები ეცნობოს საოლქო და ცენტრალურ საარჩევნო კომისიებს. ამ მეთოდით მთელი ქვეყნის მასშტაბით არჩევნებზე მოსულ ამომრჩეველთა რიცხვი ხმის მიცემის დასრულებიდან რამდენიმე საათში გახდება ცნობილი, რაც თავიდან აგვაცილებს არჩევნებზე მოსულ ამომრჩეველთა რიცხვით მანიპულირების ფართოდ გავრცელებულ პრაქტიკას.

¹⁰ ცესკოს წარმომადგენლები კონფერენციას „საქართველოს რეგიონებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობა უმცირესობების ინტეგრაციის მიზნით“ დაესწრნენ

http://www.cec.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=13&info_id=7456

¹¹ საქართველოს ოპოზიციური პარტიების განცხადება, 27.02.2010

http://forumi.ge/index.php?option=com_content&task=view&id=24281&Itemid=196

4. ცესკო-ში საუბნო და საოლქო კომისიებიდან მიღებული კენჭისყრის მონაცემების შეყვანა უნდა მოხდეს საჯაროდ, მონიტორით აღჭურვილ დარბაზში, ცესკოს წევრების და ცესკოში რეგისტრირებული სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლების თანდასწრებით. საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიიდან მიღებული საბოლოო შემაჯამებელი ოქმის ასლი მიღებისთანავე უნდა გამოქვეყნდეს ცესკო-ში დამონტაჟებულ მონიტორზე და ვებ-გვერდზე. ცესკო-ს კომპიუტერში შეყვანილი მონაცემების ელექტრონული ვერსია დაუყოვნებლივ ხელმისაწვდომი უნდა გახდეს პარტიების წარმომადგენლებისა და დამკვირვებლებისათვის.¹²

საარჩევნო გარემოს დახვეწისათვის ბრძოლაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი პოზიციის ჩამოყალიბებას „საარჩევნო კოდექსში“ შესატანი ცვლილებების თაობაზე.

პარტიების მიერ შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა (29.07.2010)¹³ შეიმუშავა და განიხილა “საარჩევნო კოდექსში” შესატანი ცვლილებების პაკეტი, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს:

1. საქართველოს პარლამენტის არჩევნების საარჩევნო სისტემა;
2. ამომრჩეველთა სიების შედგენის წესი;
3. არჩევნების დღე;
4. საარჩევნო დავების განხილვის სისტემა;
5. საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი.
6. საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობა;

შეჯამება

დანართები:

დანართებში მოყვანილია დოკუმენტური მასალა, თუ როგორ ფასდება არჩევნების პროცესი საქრთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებლების მხრიდან და რა კონკრეტული შეფასებები კეთდება საარჩევნო გარემოს შეფასებისას.

¹²სელმომწერი პარტიები, 27.02.2010

1. პ/გ “ეროვნული ფორუმი” – კახაბერ შარტავა 2. საქართველოს ლეიბორისტული პარტია – შალვა ნათელაშვილი 3. “ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატები” – ირაკლი ალასანია 4. პ/გ “ახალი მემარჯვენეები” – დავით გამყრელიძე 5. საქართველოს რესპუბლიკური პარტია – დავით უსუფაშვილი 6. საქართველოს ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა – გიორგი თარგამაძე 7. საქართველოს კონსერვატიული პარტია – ზვიად ძიძიგური 8. “საქართველოს გზა” – სალომე ზურაბიშვილი 9. “მოძრაობა ერთიანი საქართველოსათვის” – ევა ბესელია 10. “დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო” - ნინო ბურჯანაძე

¹³ http://forumi.ge/index.php?option=com_content&task=view&id=24673&Itemid=196

NDI-ის 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების სადამკვირვებლო დელეგაციის განცხადება¹⁴

თბილისი, 7 იანვარი, 2008
საქართველო

I. საარჩევნო გარემო

სამართალდამცავმა სტრუქტურებმა ძალის გამოყენებით დაშალეს 2007 წლის

ნოემბრის დასაწყისში გამართული 6 დღიანი დემონსტრაცია. პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა და დანიშნა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები 2008 წლის 5 იანვრისთვის. I-ის წინასაარჩევნო დელეგაციას მიაჩნია, რომ ამ მოვლენებმა გაამძაფრა ქვეყანაში არსებული დაძაბულობა იმ დონემდე, რომ პოლიტიკური გარემო გახდა საშიშად პოლარიზებული. ბევრმა ქართველმა გამოხატა მოსაზრება, რომ ამ პოლარიზაციამ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს საპრეზიდენტო არჩევნები. ასევე, ბევრმა ხაზი გაუსვა ამ არჩევნების და მომავალი საპარლამენტო არჩევნების მნიშვნელობას ხალხის თვალში პოლიტიკური ინსტიტუტების ნდობის და დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით საქართველოში. არჩევნებისთვის გამოყოფილი მცირე დრო მხოლოდ ართულებს არსებულ გამოწვევებს.

სამართლებრივი ჩარჩო და საარჩევნო ადმინისტრაცია

2007 წლის ნოემბერსა და დეკემბერში საქართველოს საარჩევნო კოდექსში ცვლილებების მიღებით პარლამენტმა გადადგა კონსტრუქციული ნაბიჯი.

ცვლილებებში აისახა უმრავლესობასა და ოპოზიციურ პარტიებს შორის კომპრომისის მთელ რიგ საკითხებზე, რომელთაგან ყველაზე გამორჩეულია პარტიის წარმომადგენლების დამატება საარჩევნო კომისიებში ეროვნულ (ცენტრალური საარჩევნო კომისია) და უბნის (საუბნო საარჩევნო კომისია) დონეზე. სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები იყო არჩევნების დღეს ამომრჩეველთა რეგისტრაცია და ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) არჩევნების შედეგების დაუყოვნებლივი გამოქვეყნების ვალდებულება უბნების მიხედვით.

საარჩევნო უბნებზე არსებულ ვიდუო კამერებთან დაკავშირებით, რომლებიც დარღვევების დასაფიქსირებლად იქნა დამონტაჟებული, ცესკო დათანხმდა გადაეფარა საარჩევნო კაბინები ქსოვილით, რათა უზრუნველყო ამომრჩეველთა ნდობა ხმის ფარულობის შესახებ. კომისიამ ასევე დადგა ფაქსის მოწყობილობები ბევრ საარჩევნო უბანში არჩევნების შედეგების სწრაფი გამოქვეყნების მიზნით.

საქართველოს დიდი ხნის პრობლემა საარჩევნო სივრცის დაკავშირებით ისევ სახეზეა. ერთი პრობლემა იყო ის, რომ სივრცის კარდაკარ გადამოწმებისას ცესკო-მ ვერ შესძლო

¹⁴ NDI-ის საკონტაქტო ინფორმაცია დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ დაუკავშირდეთ თბილისში – მერი ოპიგანს, +995-32-935-830; ან ვაშინგტონში - ლორა ჯუიოს +1-202-728-5500

სახელების 30%-ის აღმოჩენა დარეგისტრირებულ მისამართებზე. ამავე დროს, სამართლებრივი მოსაზრებების გამო, ბევრი ასეთი

სახელის ამოღება სიიდან იყო შეუძლებელი. ცესკო-მ გამოაქვეყნა ამ კამპანიის

შემაჯამებელი შედეგები. სიაში არსებულმა განსხვავებებმა გამოიწვია არეულობა უბნებზე და შესაძლებელი გახდა დარღვევები.

კამპანია - მიუხედავად შეჭიდროებული საკამპანიო დროისა, არსებობდა ღია და კონკურენციული პოლიტიკური შეჯიბრებისთვის აუცილებელი პირობები. კანდიდატებს შეეძლოთ პირდაპირ ან მედიის საშუალებით დაკავშირებოდნენ თავიანთ ამომრჩევლებს. პოლიტიკური პარტიები იღებდნენ სახელმწიფო დაფინანსებას; და კანდიდატებს, რომლებიც აკმაყოფილებდნენ გარკვეულ კრიტერიუმებს, ეთმობოდათ უფასო საეთერო დრო. პარტიები ასევე ჩართულნი იყვნენ საარჩევნო ადმინისტრაციებში ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე. ამავე დროს, I-ის წინასაარჩევნო დელეგაციის დაკვირვებების მიხედვით, საარჩევნო კამპანია ხასიათდებოდა ურთიერთ-ბრალდებებით, ნდობის დაკარგვით, დიალოგის სიმცირითა და არჩევნების დამთავრებისთანავე სამოქალაქო არეულობის წინასწარმეტყველებით. მმართველი პარტიის საარჩევნო კამპანია გაცილებით უფრო თვალსაჩინო იყო მთელი ქვეყნის მასშტაბით. არჩევნების წინა დღეებში იყო საშინელი პროვოკაციები საარჩევნო უბნებს გარეთ პარტიის აქტივისტთა დაპირისპირებასთან დაკავშირებით. თავის მხრივ, მმართველი პარტია აცხადებდა, რომ რამდენიმე ოპოზიციურ კანდიდატს ნაკლებად აინტერესებდა საარჩევნო პროცესი.

ბრალდებები სისხლის სამართლის დანაშაულების შესახებ ისმოდა უმრავლესობის და ოპოზიციის ლიდერების, მათ შორის რამდენიმე საპრეზიდენტო კანდიდატის მიმართ. ბრალდებამ ერთ-ერთი პრეზიდენტის კანდიდატის მიერ შეთქმულების მოწყობის შესახებ კიდევ უფრო გააღრმავა ისედაც დაძაბული პოლიტიკური გარემო. ასევე, თითოეული მხარე აცხადებდა, რომ მეორე მხარე მოახდენდა ძალადობის პროვოცირებას არჩევნების დღეს ან მის შემდეგ, რაც ზრდიდა დაძაბულობას 5 იანვრის მოახლოებასთან ერთად.

მკვეთრი და პირადულად შეურაცხყოფი განცხადებები, განსაკუთრებით რამდენიმე ოპოზიციური კანდიდატის მხრიდან, ზოგჯერ იწვევდა უფრო სერიოზულ საკითხებზე დისკუსიის შეწყვეტას.

კამპანიის მსვლელობისას იყო ბევრი ბრალდება ზეწოლის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ მათგან ბევრი ვერ იქნა გამყარებული მტკიცებულებით, ზოგიერთი კონკრეტული შემთხვა დადასტურდა და ზოგიერთზე მოხდა შესაბამისი რეაგირება. მიუხედავად იმისა, რომ დელეგაცია არ იძიებს მსგავს ბრალდებებს, NDI-ის გააჩნდა ინფორმაცია ზეწოლის, მათ შორის დაშინების და მოსყიდვის, რამდენიმე დადასტურებული შემთხვევების შესახებ, რომელიც გამოყენებულ იქნა ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების წინააღმდეგ. უნდა აღინიშნოს, რომ მმართველმა პარტიამ სწრაფად იმოქმედა მისთვის მიწოდებული ზეწოლის შემთხვევების გამოსავლენად და, ერთ შემთხვევაში, ბოდიში საჯაროდ მოიხადა. მიუხედავად ამისა, ღონისძიებები მათ წინააღმდეგ, ვინც მუშაობს საქართველოში არჩევნების სამართლიანობის დაცვისთვის, არის უკან გადადგმული და დემოკრატიულ ფასეულობებთან არათავსებადი ნაბიჯი.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და სახალხო დამცველის ოფისმა სათითაოდ წარმოადგინეს მექანიზმები საჩივრების მიღების და მათთვის პასუხის გაცემის მიზნით. პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელმა, ნინო ბურჯანაძემ შექმნა სამთავრობოთაშორისი სამუშაო ჯგუფი ადგილობრივ და საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან უერთიერთობის და საარჩევნო დარღვევებზე მთავრობის მოქმედებების კოორდინირების მიზნით. სამუშაო

ჯგუფი რეგულარულად ატარებდა პრეს-კონფერენციებს საჩივრების განსახილველად, გამოსცემდა წერილობით ინფორმაციას საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით და გადასცემდა საჩივრებს მთავრობის შესაბამის უწყებებს.

I-ის წინასაარჩევნო დელეგაციამ აღნიშნა არჩევნების პერიოდში სამთავრობო პარტიის და სახელმწიფოს შორის განსხვავების მნიშვნელობის შესახებ, ფინანსური და ადამიანური რესურსების გამოყენების ჩათვლით. ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში სახელისუფლებო პარტიას გააჩნია უპირატესობები. საქართველოში ბევრს დაურიგეს ვაუჩერები წარწერით “პრეზიდენტის საჩუქარი” ისეთ პროდუქტზე, როგორცაა საწვავი და მედიკამენტები. ზოგიერთ შემთხვევაში, პროგრამის მასშტაბი და მიწოდების ფორმები არ იცავდა ზღვარს სახელმწიფოს, მმართველ პარტიასა და საარჩევნო კამპანიას შორის. მთავრობამ გადადგა პოზიტიური ნაბიჯი საჯარო მოხელეებისთვის ქცევის კოდექსის შემუშავებასთან დაკავშირებით. თუმცა, ეს კოდექსი არ იყო დროულად დასრულებული და ვერ მიეწოდა საჯარო მოხელეებს არჩევნებამდე.

ტელევიზია არის ინფორმაციის მთავარი წყარო საქართველოს

საზოგადოებისთვის, და ოპოზიციური პარტიები განიხილავდნენ იმედის ტელევიზიასა და რადიოს, როგორც ამომრჩევლებთან ურთიერთობის მთავარ საშუალებას. საარჩევნო კამპანიის დიდი ნაწილის განმავლობაში იმედის დახურვა ნიშნავდა, რომ ოპოზიციისთვის სანდო ელექტრონული ინფორმაცია შეზღუდული იქნებოდა დედაქალაქის მიერ. მედია დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ საარჩევნო კამპანიის დასაწყისში მედია იყო დაუბალანსებელი მმართველი პარტიის სასარგებლოდ, თუმცა ეს გამოსწორდა კამპანიის შემდგომ ეტაპებზე.

საარჩევნო შტაბების წარმომადგენლებს შორის გამართული ტელედებატები, თოქ-შოუები და უფასო საეთერო დრო უზრუნველყოფდა ამომრჩევლებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას. უზომოდ დიდი ფასები ფასიანი საეთერო დროსათვის ზღუდავდა მედიის ხელმისაწვდომობას კანდიდატების უმეტესობისთვის. სამწუხაროდ, მთავარმა კანდიდატებმა არ ისარგებლეს საპრეზიდენტო დებატების გამართვის შესაძლებლობით.

დანართი №1. მაგალითი: წინასაარჩევნო გარემოს შეფასება ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების მხრიდან

საარჩევნო მედიაცენტრში¹⁵ გაერთიანებული ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება

2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს შესახებ
2010 წლის 29 მაისი

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ წინასაარჩევნო გარემოს არჩევნების დანიშნის დღიდან აკვირდებიან. ამ დაკვირვების საფუძველზე არჩევნებამდე ერთი დღით ადრე ასეთი ტენდენციები იკვეთება:

არჩევნების დღის დანიშნა: საქართველოს კანონმდებლობით, არჩევნების დღეს არჩევნებამდე არაუგვიანეს 60 დღისა პრეზიდენტი ნიშნავს. ადგილობრივი

¹⁵ საკონტაქტო პირი: თამუნა ქაროსანიძე, მედიაცენტრის კოორდინატორი 877 71 91 07, ngomediacentre@gmail.com

თვითმმართველობის არჩევნების 2010 წლის 30 მაისს ჩატარების შესახებ მიხეილ სააკაშვილმა პირველი საჯარო განცხადება ჯერ კიდევ წინა წლის ივნისში გააკეთა, თუმცა ოფიციალურად არჩევნების დღე, 2006 წლის ადგილობრივი და 2008 წლის რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების მსგავსად, არჩევნების თარიღის განსაზღვრის კანონით დადგენილი ვადის ამოწურვის ზუსტად ბოლო დღეს გამოაცხადა.

ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების საარჩევნო ანგარიშებსა და რეკომენდაციებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ არჩევნების დღის დადგენა ტექნიკური საკითხი არ არის. მას წინასაარჩევნო კამპანიის დაგეგმვაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს, ამდენად იმისთვის, რომ პოლიტიკური ოპონენტებს შეძლებისდაგვარად თანაბარი სასტარტო პირობები ჰქონდეთ, აუცილებელია, რომ არჩევნების ოფიციალური თარიღი მათთვის უფრო ადრე იყოს ცნობილი.

საკანონმდებლო ცვლილებები: 30 მაისის ადგილობრივი არჩევნებისთვის საქართველოს საარჩევნო კოდექსში რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა. კერძოდ, ხმის მიცემისა და ხმების დათვლის დროს გამოვლენილი დარღვევების გასაჩივრების ვადა ერთი დღიდან ორ დღემდე გაიზარდა, საუბნო საარჩევნო კომისიებში მდივნების დანიშვნის პრეროგატივა ოპოზიციურ პარტიებს მიენიჭათ, არჩევნების ოფიციალურად დანიშვნის შემდეგ ახალი საბიუჯეტო ცვლილებების ინიცირება და განხორციელება აიკრძალა და ა.შ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცვლილება, რომლის თანახმადაც, თბილისის მერი პირდაპირი წესით აირჩევა, თუმცა სამწუხაროა, რომ 2009 წელს პრეზიდენტის მიერ

გაეროში გაკეთებული განცხადების მიუხედავად, სადაც მან თქვა, რომ პირდაპირი წესით აირჩეოდა ყველა ქალაქის მერი, სხვა ქალაქების მერებს ამ არჩევნების შემდეგ კვლავ საკრებულოები დანიშნავენ.

არასამთავრობო ორგანიზაციების მცდელობის მიუხედავად, ვერც წინასაარჩევნო

კამპანიისთვის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების უკეთესად დარეგულირება მოხერხდა. დღეს საქართველოს კანონმდებლობა ამ მხრივ საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამება და მმართველ პარტიასა და მის კანდიდატებს უპირატეს მდგომარეობაში აყენებს.

ამომრჩეველთა სია: ამომრჩეველთა სია ის საკითხია, რომელზე მუშაობაც არჩევნებამდე დიდი ხნით ადრე უნდა დაიწყო. ამ საკითხის მოწესრიგებისთვის აუცილებელია, რომ იმ საჯარო უწყებების მონაცემთა ბაზები, რომლებიც ამომრჩეველთა სიის ფორმირებაში იღებენ მონაწილეობას, ერთმანეთის და ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბაზებთან თავსებადი იყოს.

გარდა ამისა, ამომრჩეველთა სიის შემოწმება ამომრჩეველებს მუდმივად უნდა შეეძლოთ და ის უწყვეტ რეჟიმში უნდა ახლდებოდეს.

მიუხედავად ამისა, ამ არჩევნებისთვის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ

ამომრჩეველთა სიაზე გაწეული სამუშაო უფრო მეტად დადებით შეფასებას იმსახურებს.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სიის გადამოწმებაში თერთმეტი პოლიტიკური პარტია ჩაერთო, რაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა, თუმცა მათ მიერ გამოვლენილი ხარვეზები სრულად არ გასწორებულა. ამომრჩეველთა სიაზე მუშაობის შედეგების შესახებ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ საზოგადოებას დეტალური ანგარიში წარუდგინა.

საარჩევნო ადმინისტრაცია: საარჩევნო ადმინისტრაციის სხვადასხვა დონეებზე განსხვავებული სურათები გამოიკვეთა. ცენტრალური საარჩევნო კომისია უფრო მეტად ცდილობდა, კონსტრუქციული სამუშაო გარემო შეექმნა და მის საქმიანობაში არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა დაინტერესებული მხარეები აქტიურად ჩაერთო. წინა არჩევნებთან შედარებით, კომისიის წევრები, მათ შორის ოპოზიციური პარტიების მიერ დანიშნული წარმომადგენლები, უკეთესად იყვნენ ინფორმირებულები კომისიის მუშაობის, მისი სხდომების თარიღებისა და განსახილველი საკითხების შესახებ, და სამუშაო პროცესში უფრო აქტიურად ჩართვის შესაძლებლობა ეძლეოდათ. გარდა ამისა, ცენტრალურ საარჩევნო

კომისიაში ფუნქციონირებდა რამდენიმე სამუშაო ჯგუფი, რომელთა წევრებს შორის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც იყვნენ.

ამ დადებითი ტენდენციების პარალელურად იყო შემთხვევები, როცა ცენტრალური საარჩევნო კომისია მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემას აგვიანებდა, ან არასრულ ინფორმაციას გასცემდა.

გაცილებით უარეს შეფასებას იმსახურებს ქვედა დონის – საოლქო და საუბნო – საარჩევნო კომისიები, საიდანაც ინფორმაციის მიღება კიდევ უფრო ჭირდა. ცუდია ის ფაქტიც, რომ საარჩევნო ადმინისტრაციამ არ გაითვალისწინა სადამკვირვებლო ორგანიზაციების რეკომენდაცია და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს შორის კვლავ მოხვდნენ ის პირები, რომლებიც წინა არჩევნების დროს დაშვებული შეცდომებისა და დარღვევების გამო, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა“ და „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ მიერ შედგენილ „შავ სიაში“ მოხვდნენ. ეს სია ზემოაღნიშნულმა ორგანიზაციებმა საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებამდე მიაწოდეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

წინასაარჩევნო კამპანია: წინასაარჩევნო კამპანიის მონიტორინგისას აქცენტი

ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებასა და დაშინების ფაქტებზე გაკეთდა. ამ მხრივ წელს ნაკლები დარღვევები გამოვლინდა, ვიდრე 2008 წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დროს, თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ წელს შედარებით ნაკლები იყო კონკურენციაც. პოლიტიკურმა პარტიებმა აქცენტი თბილისზე გააკეთეს, დაშინების შემთხვევები კი წინა არჩევნების დროს რეგიონებში გაცილებით უფრო ხშირი იყო, ვიდრე – თბილისში.

სამწუხაროა, რომ ამ შედარებით ნაკლები კონკურენციის პირობებშიც კი, ამომრჩევლებისა და პოლიტიკური ოპონენტების დაშინების ფაქტები კვლავ გამოვლინდა. სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ დღემდე გამოქვეყნებულ ანგარიშებში არაერთი ასეთი შემთხვევა აღწერილი. მათი რეალური რაოდენობა იმაზე მეტი იყო, ვიდრე ანგარიშებში მოხვდა, რადგან პოლიტიკური აქტივისტებისა და ამომრჩევლების ნაწილი ამ საკითხზე ღიად ლაპარაკს მოერიდა.

წინასაარჩევნო კამპანიის მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთა მმართველი პარტიის კამპანიაში საჯარო მოხელეების აქტიური მონაწილეობისა და მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდზე გათვლილი სოციალური პროგრამების შემთხვევებიც. საქართველოს კანონმდებლობა საჯარო მოხელეებს წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართვას მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს უკრძალავს. შედეგად, წინასაარჩევნო პერიოდში შვებულებაში 1000-ზე მეტი საჯარო მოხელე გავიდა. თან ეს იმ ფონზე მოხდა, როცა წელს საჯარო მოხელეების რაოდენობა და მათი ხელფასებისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო დაფინანსება წინა წლებთან შედარებით საკმაოდ გაიზარდა.

რეაგირება დარღვევებზე: თუ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების სპეციფიკას გაითვალისწინებთ, როცა ხელისუფლების წარმომადგენლებს არა ნაციონალურ, არამედ ადგილობრივ დონეზე ვირჩევთ, ადვილი შესაძლებელია, რომ დარღვევების ინიციატივა არა ცენტრალური ხელისუფლებიდან, არამედ იმ ადგილობრივი საჯარო მოხელეებისგან მოდიოდეს, რომლებიც ცალკეულ ქალაქებსა და რაიონებში თავად იყრიან კენჭს. ამ შემთხვევაში იმის შეფასებაა მნიშვნელოვანი, თუ როგორ რეაგირებს ცენტრალური ხელისუფლება და პასუხისმგებელი უწყებები ასეთ დარღვევებზე.

ამ მხრივ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მუშაობა შედარებით სუსტი იყო. ის

წინასაარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული საჩივრების განხილვის პროცესს ნაკლები კონსტრუქციულობითა და ინტერესით ეკიდებოდა, რაც ნაწილობრივ იმითაც იყო განპირობებული, რომ უფრო მნიშვნელოვნად არჩევნების მოსამზადებელი სამუშაოები მიაჩნდა.

საბოლოო ჯამში ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დარღვევებზე რეაგირების კუთხით უფრო პასიური პოზიცია აირჩია, ვიდრე – პროაქტიული.

დარღვევებზე რეაგირების საკითხზე უფრო აქტიურად მუშაობდა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ ეს ჯგუფი მაღალი თანამდებობის პირებით არის დაკომპლექტებული, რაც მის გავლენასა და ქმედუნარიანობას ამაღლებს. დღეის მდგომარეობით ჯგუფმა უკვე რამდენიმე შეხვედრა გამართა სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან. შეხვედრებზე ამ ორგანიზაციების მიერ გამოვლენილი თითოეული დარღვევა დაწვრილებით განიხილებოდა. გარდა ამისა, უწყებათაშორისმა ჯგუფმა გამოაქვეყნა ორი ანგარიში, რომლებშიც შესწავლილი დარღვევებისა და მათზე რეაგირების დეტალები იყო აღწერილი და გააკეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი საჯარო განცხადება, რომლებშიც საჯარო მოხელეებს კანონის დაცვისკენ მოუწოდა. ამის მიუხედავად, ადეკვატურად ჯერჯერობით მხოლოდ ერთი პირია (ხულოს სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, რომელიც სკოლაში წინასაარჩევნო

ღონისძიების ჩატარების გამო თანამდებობიდან გათავისუფლდა) დასჯილი. რამდენიმე სხვა ფაქტზე, ჯგუფის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, გამოძიება მიმდინარეობს. მათ შორის არის ოპოზიციურ პარტიებზე მესტიაში 3 მაისს განხორციელებული განსაკუთრებით უხეში ზეწოლის ფაქტიც, რომელზეც არაერთი მოწმის ჩვენება და ფარული ვიდეოჩანაწერი არსებობს.

რაც შეეხება პარლამენტში შექმნილ ინტერფრაქციულ ჯგუფს, მისი საქმიანობა ამ ეტაპზე მხოლოდ იმით შემოიფარგლება, რომ დარღვევების შესახებ პერიოდულად იღებს ინფორმაციას სადამკვირვებლო ორგანიზაციებისგან, მათ პრესკონფერენციებზე ახმოვანებს და ხელისუფლებას რეაგირებისკენ მოუწოდებს.

საბოლოო ჯამში, აშკარად იკვეთება ხელისუფლებისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის მცდელობა, რომ 30 მაისის ადგილობრივმა თვითმმართველობის არჩევნებმა საერთაშორისო საზოგადოების დადებითი შეფასება დაიმსახუროს. ამისთვის რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი მართლაც გადაიდგა, თუმცა, დადებით ტენდენციასთან ერთად, პრობლემად რჩება ის ფაქტი, რომ საკანონმდებლო აკრძალვების ინტერპრეტაციისას აქცენტი უფრო მეტად მათ ფორმალურ მხარეზე კეთდება, ვიდრე – არსსა და მიზანზე. შედეგად, კვლავ ბუნდოვანი რჩება მართლველი პარტიის წინასაარჩევნო კამპანიისა და ხელისუფლების საქმიანობის გამყოფი ხაზი და სხვა პოლიტიკურ პარტიებს წინასაარჩევნო კამპანიის განხორციელება არათანაბარ პირობებში უწევთ.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „სამართლიანი არჩევნებისა და

დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ მომავალშიც გააგრძელებენ საარჩევნო მონიტორინგს და, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, განსაკუთრებულ ყურადღებას იმაზე გაამახვილებენ, თუ როგორ გაგრძელდება დარღვევებზე რეაგირების პროცესი.

აქვე მოუწოდებთ უწყებათაშორის ჯგუფს, რომ რეაგირება იყოს დროული და ჩადენილი დარღვევების ადეკვატური, და რომ ინფორმაცია მისი საქმიანობის შესახებ აქტიურად მიაწოდოს არა მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოებას (ჯგუფის მიერ დღემდე გამოქვეყნებული ანგარიშები მხოლოდ ინგლისურ ენაზეა), არამედ საქართველოს მოქალაქეებს და პირველ რიგში – სწორედ მათ.

დანართი №3: ცესკომ ეუთო-ს საბოლოო ანგარიში წარმოადგინა და ფილმის პრეზენტაცია გამართა¹⁶

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 2010 წლის 30 სექტემბერს, სასტუმრო „რედისონში“ ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიში და რეკომენდაციები წარმოადგინა. მისიამ ეს ანგარიში 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე დაკვირვების შედეგად გამოაქვეყნა.

ანგარიში ძირითადად დადებითი ხასიათისაა და მასში პოზიტიურად არის შეფასებული ყველა ის ნაბიჯი, რომელიც ადმინისტრაციამ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით გადადგა. "თვითმმართველობის არჩევნებმა მნიშვნელოვანი პროგრესი უჩვენა ეუთო-ს ვალდებულებებსა და სხვა საერთაშორისო სტანდარტებთან თანხვედრის მიზნით. საარჩევნო ადმინისტრაციამ აღნიშნული არჩევნები პროფესიონალურ დონეზე და გამჭვირვალედ ჩაატარა, ამასთან უზრუნველყოფილ იქნა მხარეთა ჩართულობა" - ნათქვამია დოკუმენტში. ცესკოს თავმჯდომარე ასევე წარმოადგენს იმ რეკომენდაციებს, რომლებიც სადამკვირვებლო მისიამ არჩევნების ჩატარების ხარისხის ამაღლების მიზნით გამოთქვა.

ეუთო-ს სადამკვირვებლო მისია აქტიურად თანამშრომლობდა საარჩევნო ადმინისტრაციასთან, აკვირდებოდა წინასაარჩევნო მზადების პროცესს, კენჭისყრის დღეს და ასევე არჩევნების შემდგომ პერიოდს, რომელიც არჩევნების შედეგების შეჯამებას და დავების განხილვას მოიცავდა.

ანგარიშის განხილვის შემდეგ, ცესკომ დოკუმენტური ფილმის პრეზენტაცია გამართა. ფილმი 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პერიოდში შეიქმნა და მასში ასახულია ის საქმიანობა, რომელსაც საარჩევნო ადმინისტრაცია წინასაარჩევნოდ, სამი თვის განმავლობაში ახორციელებდა. ფილმის მიზანია ამომრჩეველთათვის დეტალური, შიდა ინფორმაციის მიწოდება, თუ როგორ მიმდინარეობს მზადება არჩევნებისათვის, რა საქმიანობებს ახორციელებენ ადმინისტრაციის სხვადასხვა რგოლები და რა სამუშაოს ჩატარება უხდებათ თანამშრომლებს, იმისათვის რომ არჩევნები ჩატარდეს გამართულად და ამომრჩეველმა მისი კონტიტუციური უფლება განახორციელოს.

¹⁶ http://www.cec.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=13&info_id=7353

ეკა სირაძე-დელიონე

აღმასრულებელი დირექტორი
სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის
საერთაშორისო საზოგადოება - ISFED

Reader

არჩევნებზე დაკვირვება ადგილობრივი არასამთავრობო ჯგუფების მიერ და კენჭისყრის დღის პროცედურები

სადამკვირვებლო მისიის მნიშვნელობა

არჩევნების სამართლიანად ჩატარების ერთ-ერთი ინდიკატორი მისი გამჭვირვალობაა, ანუ რამდენად აქვს საშუალება ამა თუ იმ დაინტერესებულ პირს დააკვირდეს ყველა მიმდინარე პროცესს და შეაფასოს იგი. არჩევნების გამჭვირვალობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს, როგორც საარჩევნო ადმინისტრაციის ანუ არჩევნების ჩამტარებელი ორგანოს მხრიდან ასევე, არჩევნებში მონაწილე სუბიექტების მხრიდანაც, ვინც ამ პროცესში უშუალოდ მონაწილეობს. ძალიან მნიშვნელოვანია, მიუკერძოებელი სადამკვირვებლო მისიის მიერ მონიტორინგის განხორციელება საარჩევნო პროცესებზე, რადგანაც მისია არ არის დაინტერესებული არჩევნების შედეგებით, არამედ დაინტერესებულია პროცესით, ანუ იმით თუ რამდენად კანონთან შესაბამისად ვითარდება მოვლენები. ამიტომ მისიის მიერ გაკეთებული დასკვნები და შეფასებები ობიექტური, მისაღები და დამაჯერებელია, როგორც საზოგადოებისათვის ასევე არჩევნებში მონაწილე სუბიექტებისათვის. ამასთან აღსანიშნავია, რომ მიუკერძოებელი სადამკვირვებლო მისიის განხორციელება ხელს უწყობს კონკრეტულ საარჩევნო უბანზე ხმების დაცვას და შესაძლო დარღვევებისა და გაყალბებების თავიდან აცილებას, რაც ამომრჩეველთა ნების გამოვლენის უზრუნველყოფის საუკეთესო საშუალებაა.

დამკვირვებლის უფლებები¹⁷

დამკვირვებლის უფლებების მთავარი პრინციპია “კენჭისყრის დღეს ნებისმიერ დროს იმყოფებოდეს კენჭისყრის შენობაში, შეუზღუდავად გადაადგილდეს საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე და ნებისმიერი ადგილიდან დააკვირდეს კენჭისყრის პროცესის ყველა ეტაპს”. არავის აქვს იმის უფლება, რომ დამკვირვებელს მიუჩინოს და მიუთითოს დაკვირვების კონკრეტული ადგილი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დამკვირვებელი ხელს უშლის ამომრჩეველს საარჩევნო უფლებით სარგებლობისას ან ერევა საუბნო საარჩევნო კომისიის ფუნქციებში.

დამკვირვებელს უფლება აქვს:

- დაესწროს და დააკვირდეს საარჩევნო კომისიის სხდომებს;
- კენჭისყრის დღეს ნებისმიერ დროს იმყოფებოდეს კენჭისყრის შენობაში, შეუზღუდავად გადაადგილდეს საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე და თავისუფლად, დაუბრკოლებლად დააკვირდეს კენჭისყრის პროცესის ყველა ეტაპს ნებისმიერი ადგილიდან;

¹⁷ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, მუხლი 70

- კენჭისყრის დღის ნებისმიერ დროს შეენაცვლოს თავისი წარმდგენი ორგანიზაციის სხვა რეგისტრირებულ წარმომადგენელს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- მიიღოს მონაწილეობა საარჩევნო ყუთების შემოწმებაში მათ დალუქვამდე და მათი გახსნის შემდეგ;
- თუ დამკვირვებელი მიიჩნევს, რომ ნაკადის მომწესრიგებელმა კომისიის წევრმა პროცედურის დაცვით არ შეამოწმა (ამომრჩევლის) მარკირება, მას უფლება აქვს მოსთხოვოს ნაკადის მომწესრიგებელს თავიდან განახორციელოს ეს პროცედურა;
- დააკვირდეს ამომრჩეველთა სიებში ამომრჩეველთა რეგისტრაციას, საარჩევნო ბიულეტენების დამოწმებას და გაცემას;
- თუ დამკვირვებელი მიიჩნევს, რომ რეგისტრატორმა პროცედურის დაცვით არ მოახდინა ამომრჩევლის მარკირება, მას უფლება აქვს მოსთხოვოს რეგისტრატორს თავიდან განახორციელოს ეს პროცედურა;
- მოსთხოვოს ამომრჩეველს კაბინაში შესვლამდე უჩვენოს, რამდენი საარჩევნო ბიულეტენი აქვს ხელში. ამომრჩეველი ვალდებულია დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა;
- მოსთხოვოს ამომრჩეველს სპეციალურ კონვერტში ბიულეტენ(ებ)ის ჩადებამდე უჩვენოს, რამდენი საარჩევნო ბიულეტენი აქვს ხელში. ამომრჩეველი ვალდებულია დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა;
- დააკვირდეს საარჩევნო ყუთს და საარჩევნო ყუთში სპეციალური კონვერტების ჩაყრას/მოთავსებას;
- დააკვირდეს გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით ხმის მიცემის პროცესს;
- დაესწროს და დააკვირდეს ხმების დათვლას ისეთ პირობებში, რაც უზრუნველყოფს საარჩევნო ბიულეტენის დანახვას;
- დააკვირდეს საარჩევნო ყუთების გახსნას, საარჩევნო ბიულეტენების დათვლას და ოქმის შედგენას;
- დაესწროს და დააკვირდეს საარჩევნო კომისიის მიერ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმისა და სხვა დოკუმენტების შედგენას;
- გაეცნოს საარჩევნო კომისიების მიერ შედგენილ კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს;
- მიმართოს განცხადებით (საჩივრით) საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ხმის მიცემისა და კენჭისყრის პროცედურასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომლითაც კონკრეტული დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში, მოითხოვს რეაგირებას;
- გაასაჩივროს საუბნო საარჩევნო კომისიის ქმედება ზემდგომ საარჩევნო კომისიაში ან სასამართლოში;

დამკვირვებელს არ აქვს უფლება:

- ჩაერიოს საარჩევნო კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში;
- გავლენა მოახდინოს ამომრჩეველთა ნების თავისუფალ გამოვლენაზე;
- აგიტაცია გაუწიოს ამომრჩეველს, რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ;
- ატაროს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სიმბოლიკა და ნიშანი;
- კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში იმყოფებოდეს სამკერდე ნიშნის გარეშე;
- დაარღვიოს საქართველოს საარჩევნო კოდექსის სხვა მოთხოვნები;
- დაესწროს ხმის მიცემას ფარული კენჭისყრის კაბინაში;
- დაეხმაროს ამომრჩეველს ბიულეტენის შევსებაში (მას-მედიის წარმომადგენელს აქვს ამის უფლება).

გახსოვდეთ!

- ✘ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს უფლება აქვს, უფლებამოსილების გადაჭარბების შემთხვევაში, მიუთითოს დამკვირვებელს შეწყვიტოს აღნიშნული ქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარეს შეუძლია კენჭისყრის ოთახში მოიწვიოს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი და წესრიგის დამრღვევი დამკვირვებელი გააძევოს კენჭისყრის შენობიდან;
- ✘ ადგილობრივი/საერთაშორისო დამკვირვებლის, საარჩევნო სუბიექტისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების ამ კანონით დადგენილი უფლებების შეზღუდვა ან მათი საქმიანობებისთვის ხელის შეშლა გამოიწვევს შესაბამისი პირების დაჯარიმებას **500 ლარის** ოდენობით;
- ✘ დამკვირვებლის, საარჩევნო სუბიექტისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების მიერ ამ კანონის 70-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“-„დ“ ქვეპუნქტებით დაკისრებული მოთხოვნების დარღვევა- გამოიწვევს შესაბამისი პირების დაჯარიმებას **500 ლარის** ოდენობით.

საარჩევნო უბნის გახსნა ¹⁸

საარჩევნო უბანი იხსნება დილის 07:00 საათზე და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები უბანში უნდა გამოცხადდნენ ამ დროისათვის რათა მოამზადონ კენჭისყრის შენობა და განახორციელონ კანონით განსაზღვრული გარკვეული პროცედურები.

საარჩევნო უბნის გახსნა შესაძლებელია საუბნო საარჩევნო კომისიის არანაკლებ 7 და მეტი წევრის გამოცხადების შემთხვევაში. 7-ზე ნაკლები წევრის გამოცხადებისას საარჩევნო უბანი არ გაიხსნება.

დამკვირვებელი საარჩევნო უბანში 06:30 საათზე უნდა გამოცხადდეს, რადგან არ არის გამორიცხული, რომ საუბნო საარჩევნო კომისიამ გარკვეული პროცედურების განხორციელება კანონით დადგენილ დროზე ადრეც დაიწყო. დამკვირვებელი უნდა გაეცნოს კომისიას, წარადგინოს აკრედიტაციის მოწმობა (პირადობის მოწმობასთან ერთად), გაიაროს რეგისტრაცია ჩანაწერთა წიგნში და გაესაუბროს სხვა დამკვირვებლებსაც. უბანში მყოფ სხვა დამკვირვებლებთან და საარჩევნო საუბნო კომისიის წევრებთან თანამშრომლობა მნიშვნელოვნად დაგეხმარებათ თქვენი საქმიანობის განხორციელებაში და უფრო სრულფასოვანი ინფორმაციის მიღებაში. უნდა შემოწმდეს, ხომ არ იმყოფებიან კენჭისყრის შენობაში პირები, რომელთაც ამის უფლება არა აქვთ. ასეთების არსებობის შემთხვევაში, აუცილებელია, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს მოსთხოვოთ, დაატოვებინოს მათ უბანი. მოთხოვნის იგნორირების შემთხვევაში ამ დარღვევაზე შეგიძლიათ დაწეროთ საჩივარი.

კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირები¹⁹

არჩევნების დღეს კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლება აქვთ:

- ცენტრალური, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს;

¹⁸ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, მუხლი 52

¹⁹ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, მუხლი 67

- ცენტრალური, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებს;
 - საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს (ერთი საარჩევნო სუბიექტის ერთდოულად 1 წარმომადგენელი);
 - ადგილობრივი ორგანიზაციის აკრედიტებულ დამკვირვებლებს (ერთი ორგანიზაციიდან ერთდოულად 1 დამკვირვებელი);
 - საერთაშორისო ორგანიზაციების აკრედიტებულ დამკვირვებლებს (ერთი ორგანიზაციიდან 2 დამკვირვებელი, რომელთაც შეიძლება ახლდეს თარჯიმანი);
 - პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების აკრედიტებულ წარმომადგენლებს (ერთი მედია-საშუალებიდან არაუმეტეს 3 წარმომადგენელი).
- კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირი უნდა ატარებდეს მისი ვინაობისა და სტატუსის აღმნიშვნელ სამკერდე ნიშანს (მოწმობას), რომელზედაც აღნიშნული უნდა იყოს გვარი, სახელი და სტატუსი: ცესკოს, N...საოლქო საარჩევნო კომისიის ან N ...საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე/თავმჯდომარის მოადგილე/მდივანი/წევრი, ან ცესკოს/ N...საოლქო საარჩევნო კომისიის წარმომადგენელი, ან პარტიის/საარჩევნო ბლოკის სახელწოდება და სიტყვა „წარმომადგენელი“, ან კანდიდატის გვარი, სახელი და სიტყვა „წარმომადგენელი“, ან ორგანიზაციის სახელწოდება და სიტყვა „დამკვირვებელი“, ან მასობრივი ინფორმაციის საშუალების სახელწოდება და სიტყვა „წარმომადგენელი“.

კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს, კენჭისყრის კაბინის გარდა, საარჩევნო პროცესისათვის ხელის შეშლის გარეშე, შეუძლიათ აწარმოონ ფოტოვიდეოგადაღება.

- ✘ დაუშვებელია კენჭისყრის შენობაში შეიარაღებულ პირთა შესვლა;
- ✘ თუ კენჭისყრის შენობაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე საფრთხე ექმნება ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად კენჭისყრის ჩატარებას ან საარჩევნო დოკუმენტაციის უსაფრთხო გადაადგილებას, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოთხოვნით შეიძლება გამოძახებულ იქნენ და კენჭისყრის შენობაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ პოლიციის მუშაკები. საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის აღკვეთისთანავე და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანხმობის შემთხვევაში პოლიციის მუშაკები ტოვებენ კენჭისყრის შენობას და მის მიმდებარე ტერიტორიას;
- ✘ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს უფლება აქვს, კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლისა და წესრიგის დარღვევის შემთხვევაში დამრღვევი გააძევოს საუბნო საარჩევნო კომისიის განთავსების შენობიდან, რაზედაც დგება შესაბამისი აქტი, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და წევრები. აქტში აღინიშნება დამრღვევის სახელი და გვარი, საარჩევნო ოლქისა და უბნის ნომრები, დარღვევის არსი და მისი ჩადენის ზუსტი დრო.

წილისყრა

საარჩევნო უბანზე კენჭისყრის დღის პროცედურების განსახორციელებლად საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისგან წილისყრით შეირჩევა:

- ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი;
- ამომრჩეველთა რეგისტრატორი (ერთი რეგისტრატორი ყოველ 300 ამომრჩეველზე);
- საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი;
- გადასატანი საარჩევნო ყუთის წამლევი კომისიის 2 წევრი.

წილისყრაში მონაწილეობას არ იღებენ კომისიის თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი

1. პირველ რიგში კომისიის თავმჯდომარე ატარებს წილისყრას გადასატანი საარჩევნო ყუთის წამლები 2 წევრის გამოსავლენად. გადასატანი საარჩევნო ყუთის წამლები 2 წევრი შეირჩევა პარტიის მიერ დანიშნული კომისიის წევრებისგან.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე:

- აღრიცხავს თუ პარტიების მიერ დანიშნული (7 კომისიის წევრისგან), რამდენი წევრი ესწრება წილისყრის პროცესს;
- მათი რაოდენობის შესაბამისად ამზადებს ერთი ფორმისა და ერთი ფერის ფურცლებს;
- ორ ფურცელზე ერთი და იგივე ფერის კალმით წერს ფუნქციის დასახელებას „გადასატანი საარჩევნო ყუთის წამლები“;
- ყველა ფურცელს ამოწმებს ბეჭდით;
- კეცავს ფურცლებს ისე, რომ მათი წაკითხვა შეუძლებელი იყოს;
- დაკეცილ ფურცლებს ათავსებს მაგიდაზე;
- მიმართავს პარტიების მიერ დანიშნული კომისიის წევრებს, სათითაოდ აიღონ წილისყრის ფურცლები.

კომისიის მდივანს წილისყრის შედეგი შეაქვს ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე.

2. გადასატანი საარჩევნო ყუთის წამლები წევრების გამოვლენის შემდეგ, კომისიის თავმჯდომარე ატარებს წილისყრას სხვა ფუნქციების გამოსავლენად:

- აღრიცხავს, თუ რამდენი კომისიის წევრი მონაწილეობს წილისყრის პროცესში (კომისიის თავმჯდომარის, მოადგილის, მდივნისა და გადასატანი ყუთის წამლები 2 წევრის გარდა);
- მათი რაოდენობის შესაბამისად ამზადებს ერთი ფორმისა და ერთი ფერის ფურცლებს;
- ფურცლებზე ერთი და იმავე ფერის კალმით წერს ფუნქციების დასახელებას „ნაკადის მომწესრიგებელი“, „რეგისტრატორი“, „საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი“;
- ყველა ფურცელს ამოწმებს კომისიის ბეჭდით;
- კეცავს ფურცლებს ისე, რომ მათი წაკითხვა შეუძლებელი იყოს სხვისთვის;
- დაკეცილ ფურცლებს ათავსებს მაგიდაზე;
- მიმართავს წილისყრაში მონაწილე კომისიის წევრებს, რომ სათითაოდ აიღონ წილისყრის ფურცლები გადასატანი საარჩევნო ყუთიდან.

კომისიის მდივანს წილისყრის შედეგი შეაქვს ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე.

- ✘ კომისიის წევრის წილისყრით დადგენილი ფუნქციის დროებით გადაცემა კომისიის სხვა წევრისათვის შეიძლება მხოლოდ კომისიის თავმჯდომარის ნებართვით, რაც უნდა აღინიშნოს ჩანაწერთა წიგნის მე-5 გვერდზე, დროის მითითებით;
- ✘ თუ კომისიის რომელიმე წევრი კომისიაში გამოცხადდა წილისყრის პროცედურის დასრულების შემდეგ, მისთვის ფუნქციების მინიჭების საკითხს წყვეტს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

3. წილისყრის შემდეგ კომისიის თავმჯდომარე:

→ აცხადებს ამომრჩევლების რაოდენობას ერთიანი სიის, ამომრჩეველთა სპეციალური სიის და ამომრჩეველთა სიის დანართის მიხედვით (კომისიის მდივანს ამომრჩეველთა რაოდენობა

შესაბამისი სიების მიხედვით შეაქვს ჩანაწერთა წიგნში, შესაბამის სადემონსტრაციო ოქმში და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებში);

- ამოწმებს მიღებული ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების რაოდენობას და აცხადებს მას (მიღებული ბიულეტენების რაოდენობა კომისიის მდივანს შეაქვს ჩანაწერთა წიგნში, შესაბამის სადემონსტრაციო ოქმებსა და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებში);
- ამოწმებს და ინდივიდუალური ნომრის მქონე ზონრით ლუქავს ძირითად და გადასატან საარჩევნო ყუთებს, რომლის ნომერი საარჩევნო კომისიის მდივანს შეაქვს კენჭისყრის დღის ჩანაწერთ წიგნის მე-4 გვერდზე.

საარჩევნო ყუთები ისე უნდა იყოს დალუქული, (ბიულეტენის ჩასაგდება ჭრილის გარდა) რომ მათი მთლიანობის დაურღვევლად შეუძლებელი იყოს ყუთებში რაიმეს ჩადება და ამოღება.

4. კომისიის თავმჯდომარე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს გადასცემს:

- ამომრჩეველთა ანბანურად დაყოფილ სიებს, (თითო რეგისტრატორს უნდა გადაეცეს 300 ამომრჩევლის სია 1500 ამომრჩევიან უბნებზე) და საარჩევნო ბიულეტენების თითო-თითო ბლოკნოტს, რასაც კომისიის თავმჯდომარე და მიმღები კომისიის წევრები ადასტურებენ ბლოკნოტის თავფურცელზე ხელმოწერით;
- უხილავ საღებავს ამომრჩევლის მარკირებისთვის;
- რეგისტრატორების ბეჭდებს (რომელსაც ათავსებს გადასატან საარჩევნო ყუთში და რეგისტრატორები ამოიღებენ სათითაოდ ბეჭდებს რომლის კოდებიც რეგისტრატორის სახელთან და გვართან ერთად კომისიის მდივანს შეაქვს ჩანაწერთა წიგნში);
- ერთ-ერთ რეგისტრატორს ასევე გადასცემს სპეციალურ სიას;
- სპეციალური კონვერტების და საარჩევნო ყუთის ზედამხედველ კომისიის წევრს სპეციალურ კონვერტებს. (რომელიც კონვერტებს ყუთთან ახლოს მდგომ მაგიდაზე ათავსებს);
- ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელს მარკირების შესამოწმებელ ულტრაიისფერ ფანარს.

საკონტროლო ფურცელი²⁰

პირველი ამომრჩევლის მოსვლის შემდეგ, კომისიის მდივანი ავსებს 3 საკონტროლო ფურცელს, რომელსაც ხელს აწერს პირველი ამომრჩეველი და კომისიის ყველა დამსწრე წევრი.

საკონტროლო ფურცლებზე აღინიშნება:

- საარჩევნო ყუთებში მათი ჩაგდების ზუსტი დრო;
- პირველი ამომრჩევლის სახელი, გვარი;
- პირველი ამომრჩევლის პირადობის მოწმობის ნომერი.

შედარების მიზნით, მესამე შევსებულ საკონტროლო ფურცელს კომისიის თავმჯდომარე ინახავს კენჭისყრის ბოლომდე .

კომისიის თავმჯდომარე ინდივიდუალური ნომრის მქონე ზონრით ლუქავს ძირითად და გადასატან საარჩევნო ყუთებს და მათში ათავსებს საკონტროლო ფურცლებს. კომისიის მდივანი ჩანაწერთა წიგნში მიუთითებს ლუქების ინდივიდუალურ ნომრებს.

²⁰ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, მუხლი 52.10

კენჭისყრა კენჭისყრის ჩატარების ადგილი და დრო²¹

კენჭისყრა იმართება კენჭისყრის შენობაში არჩევნების (კენჭისყრის) დღის 8:00 საათიდან 20:00 საათამდე.

- საუბნო საარჩევნო კომისიამ უნდა უზრუნველყოს კენჭისყრის დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ამომრჩევლისათვის ყველა შესაძლო ფორმით, მათ შორის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, აგრეთვე საჯარო ადგილებში სათანადო ინფორმაციის განთავსებით, ამომრჩევლისათვის ამომრჩევლის ბარათის გადაცემით კენჭისყრამდე არა უგვიანეს 2 დღისა;
- კენჭისყრის შენობის დროებით ჩაკეტვის შემთხვევაში, კენჭისყრის შეწყვეტისთანავე ან შეჩერებისთანავე საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილების დადასტურების ან მისი გაუქმების შესახებ. კომისია უფლებამოსილია კენჭისყრის შეჩერების შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება კენჭისყრის შეწყვეტისა და საარჩევნო უბნის დახურვის შესახებ. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებები მიიღება განკარგულებით, რომელშიც უნდა აღინიშნოს კენჭისყრის შენობის დროებით ჩაკეტვის, კენჭისყრის შეწყვეტის ან შეჩერების მიზეზი და დრო. კენჭისყრის შენობის ჩაკეტვის ან კენჭისყრის შეჩერების მიზეზის აღმოფხვრისთანავე კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით კენჭისყრა განახლდება;
- კენჭისყრის დღეს სამხედრო ნაწილებში, საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, ნაოსნობაში მყოფ გემებსა და ძნელად მისადგომ ადგილებში შექმნილ საარჩევნო უბნებში საუბნო საარჩევნო კომისია კენჭისყრას დამთავრებულად აცხადებს 20 საათამდე ნებისმიერ დროს, თუ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა სიაში შეტანილმა ყველა ამომრჩეველმა.
- ✗ კენჭისყრის დროს აკრძალულია კენჭისყრის შენობის ჩაკეტვა, კენჭისყრის შეწყვეტა ან შეჩერება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეუძლებელია არჩევნების საყოველთაოობის, თანასწორობისა და ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლენის უზრუნველყოფა;
- ✗ თუ კენჭისყრა შეწყვეტილად გამოცხადდა, იგი აღარ განახლდება;
- ✗ ამომრჩეველი კენჭისყრის შენობაში შეიძლება იმყოფებოდეს მხოლოდ ხმის მიცემისათვის საჭირო დროის განმავლობაში.

გხსოვდეთ! აკრძალულია კენჭისყრის ჩატარება კენჭისყრის დღემდე ან კენჭისყრის დღის შემდეგ, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

კენჭისყრის დღის პროცედურები²²

I მარკირების შემოწმება



კენჭისყრის ოთახში შესვლამდე ამომრჩეველი გადის მარკირების შემოწმების პროცედურას. ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრი:

- არეგულირებს საარჩევნო უბანში შემოსული ამომრჩევლების ნაკადს;
- ულტრაიისფერი ფანრით ამოწმებს, აღენიშნება თუ არა ამომრჩეველს მარკირება.

²¹ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, მუხლი 51

²² საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, მუხლი 58

შენიშვნა:

- ✘ იმ შემთხვევაში, თუ ხელსაწყო გამოავლინა, რომ ამომრჩეველს უკვე აქვს მარკირება, ის არ დაიშვება ხმის მისაცემად. ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელმა კომისიის წევრმა კომისიის თავმჯდომარეს უნდა აცნობოს ასეთი ამომრჩეველის ვინაობა; კომისიის მდივანი ჩანაწერთა წიგნში (მე-10 ან მომდევნო გვერდებზე) მიუთითებს აღნიშნულ ფაქტს.
- ✘ ნაკადის მომწესრიგებელი ვალდებულია არ დაუშვას ამომრჩეველი კენჭისყრის ოთახში, თუ მისთვის განკუთვნილ სარეგისტრაციო მაგიდასთან ორზე მეტი ამომრჩეველია.

II პირადობის მოწმობის წარდგენა



მარკირების შემოწმების შემდეგ ამომრჩეველი შედის კენჭისყრის ოთახში, მიდის იმ სარეგისტრაციო მაგიდასთან, რომელსაც შეესაბამება ამომრჩეველთა სიაში მისი გვარის პირველი ასო და რეგისტრატორს წარუდგენს:

- საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობას ;
- ან საქართველოს მოქალაქის პასპორტს (იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში- დევნილის მოწმობაც).

იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩეველი ვერ წარადგენს პირადობის დამადასტურებელ საბუთს, ის ვერ მიიღებს კენჭისყრაში მონაწილეობას.

III სიაში გადამოწმება



წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე, რეგისტრატორმა უნდა მოძებნოს ამომრჩეველი ამომრჩეველთა ერთიან ან სპეციალურ სიებში და შეამოწმოს მისი პირადი ნომერი.

შენიშვნა:

- ✘ თუ ამომრჩეველი არ არის შეყვანილი ამომრჩეველთა ერთიან ან სპეციალურ სიაში, მაგრამ ამომრჩეველი წარადგენს ცნობას საზღვრის გადაკვეთის შესახებ (ჩანაწერი პასპორტში), ცნობას სტაციონარული სამკურნალო დაწესებულებიდან გამოწერის შესახებ, ან ცნობას სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან განთავისუფლების შესახებ, ამომრჩეველს რეგისტრაციაში გაატარებს ამომრჩეველთა რეგისტრატორი, რომელსაც გადაეცა ამომრჩეველთა სპეციალური სია. რეგისტრატორმა უნდა შეამოწმოს, რომ წარმოდგენილი ცნობა გაცემულია არჩევნებამდე არა უადრეს 16 დღისა; რეგისტრატორს ამომრჩეველი წარმოდგენილი ცნობისა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (რეგისტრაციის მოწმობის) საფუძველზე შეჰყავს ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ფოტოასლებს გადასცემს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.

IV მარკირება




ამომრჩეველთა სიაში ამომრჩევლის ყოფნის დადასტურების შემთხვევაში რეგისტრატორი ახორციელებს მის მარკირებას, რაც ითვალისწინებს თვალის უხილავი და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი ქიმიური საღებავის წასმას ამომრჩევლის მარჯვენა ხელის ცერა ან საჩვენებელი თითის ფრჩხილზე (აღნიშნული მოქმედების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში – მარჯვენა ხელის სხვა თითის ფრჩხილზე, ხოლო ამის შეუძლებლობისას – ასეთივე წესით მარცხენა ხელზე)

თუ ამომრჩეველი უარს განაცხადებს მარკირებაზე, ამომრჩეველი ვერ მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას!

შენიშვნა:

- ✘ თუ საარჩევნო კომისიის წევრს, საარჩევნო უბანზე მყოფ დამკვირვებელს ან/და საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს ეჭვი გაუჩნდა მარკირების ან მისი შემოწმების პროცედურის გამო, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს „საარჩევნო კოდექსის“ 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული პროცედურების ხელახლა ჩატარება. ამ პირებს უფლება აქვთ მოითხოვონ სათანადო რეაგირება მარკირების პროცედურის დარღვევის ნებისმიერ გამოვლინებაზე;
- ✘ მარკირება არ გამოიყენება ნაოსნობაში მყოფ გემებზე, წინასწარი პატომრობის დაწესებულებებში, სავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში (ავადმყოფების მიმართ), აგრეთვე გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრაში მონაწილეთა მიმართ.

V ბიულეტენის დამოწმება



ამომრჩევლის მარკირების შემდეგ რეგისტრატორი:

- ხელმოწერითა და ბეჭდით ამოწმებს საარჩევნო ბიულეტენებს (უკანა გვერდზე, ამისთვის განკუთვნილ ადგილზე);
- ადასტურებს ბიულეტენების გაცემას ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით.

VI ბიულეტენის გაცემა



ბიულეტენის ბეჭდითა და ხელმოწერით დამოწმების შემდეგ რეგისტრატორი გადასცემს ამომრჩეველს დამოწმებულ საარჩევნო ბიულეტენებს.

შენიშვნა:

- საარჩევნო ბიულეტენის წინა გვერდზე აღნიშნული უნდა იყოს:
 - არჩევნების დასახელება და არჩევნების ჩატარების თარიღი;
 - საარჩევნო ოლქის დასახელება და ნომერი;
 - საარჩევნო უბნის ნომერი (ბიულეტენის ყუასა და საკუთრივ საარჩევნო ბიულეტენზე);
 - პროპორციული სისტემით არჩევნებისას – არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის/საარჩევნო ბლოკის რიგითი ნომერი და სახელწოდება; მაჟორიტარული სისტემით არჩევნებისას – კანდიდატის რიგითი ნომერი, გვარი, სახელი, წარმდგენი საარჩევნო სუბიექტის სახელწოდება;
 - საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესი.

- საარჩევნო ბიულეტენის უკანა გვერდზე აღნიშნული უნდა იყოს:
 - ამომრჩეველთა რეგისტრატორის ხელმოწერის ადგილი;
 - ამომრჩეველთა რეგისტრატორის მიერ სპეციალური ბეჭდით დამოწმების ადგილი.

- ✘ საარჩევნო სუბიექტის არჩევნიდან მოხსნის შემთხვევაში საარჩევნო ბიულეტენის გაცემისას ბიულეტენში საარჩევნო სუბიექტის სახელის/სახელწოდების გასწვრივ დაისმება შტამპი „არჩევნიდან მოხსნილია“.

- ✘ თუ ამომრჩეველს არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს ბიულეტენები, მას უფლება აქვს დახმარებისთვის მიმართოს ნებისმიერ სხვა, მისთვის სასურველ პირს, გარდა კომისიის წევრების, საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების, კანდიდატისა და დამკვირვებლებისა. ამომრჩეველს, რომელიც დაეხმარა სხვა ამომრჩეველს ბიულეტენის შევსებისას, ეკრძალება გაამჟღავნოს მისი არჩევანი .

- ✘ თუ ამომრჩეველს ან რეგისტრატორს გაუფუჭდათ საარჩევნო ბიულეტენი, მათ ამის შესახებ უნდა აცნობონ კომისიის თავმჯდომარეს. კომისიის თავმჯდომარის დავალებით, რეგისტრატორი ვალდებულია ამომრჩეველს შეუცვალოს გაფუჭებული ბიულეტენი ახლით. კომისიის თავმჯდომარემ გაფუჭებულ ბიულეტენს ამომრჩეველის თანდასწრებით უნდა ჩამოაჭრას კუთხე, დააწეროს „გაფუჭებულია“ და ხელი მოაწეროს. კომისიის მდივანმა გაფუჭებული ბიულეტენი ცალკე უნდა შეინახოს.

- ✘ ყურადღება მიაქციეთ, ხომ არ ცდილობენ კომისიის წევრები რომელიმე ამომრჩეველის შეცდომაში შეყვანას - მისთვის გაცემულ საარჩევნო ბიულეტენებზე ხელმოწერების ან ბეჭდის გამოტოვებას, რათა ამ ამომრჩეველის ხმები გაბათილდეს. კომისიის წევრები ასე იქცევიან იმ შემთხვევაში, თუ მათთვის წინასწარაა ცნობილი, რომ კონკრეტული ამომრჩეველი მათთვის არასასურველი საარჩევნო სუბიექტის მხარდამჭერია. მნიშვნელოვანია, რომ ყველა საარჩევნო ბიულეტენი დამოწმებული იყოს კომისიის წევრის ხელმოწერებით და ბეჭდით.

გახსოვდეთ! საარჩევნო ბიულეტენი სახელმწიფო საკუთრებაა. კენჭისყრის დღეს აკრძალულია კენჭისყრის შენობიდან მისი გატანა, წაღება ან განადგურება. საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება სპეციალურ ქაღალდზე, რომლის დაკვეთისა და შესყიდვის უფლება აქვს მხოლოდ ცესკოს. დადგენილი აკრძალვის დარღვევა, აგრეთვე ყალბი საარჩევნო ბიულეტენისა და სპეციალური ქაღალდის დამზადება, გავრცელება და გამოყენება სისხლის სამართლის დანაშაულია და ისჯება კანონით დადგენილი წესით!

VII სიაში ხელმოწერა



გაითვალისწინეთ, რომ ორივე შემთხვევა მისაღებია და არ ითვლება დარღვევად

ამომრჩეველი სიაში აწერს ხელს თავისი სახელის და გვარის გასწვრივ, რითაც ადასტურებს ბიულეტენის მიღებას.(საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით).თუმცა პრაქტიკაში არსებობს იმის მაგალითები, როდესაც საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები ჯერ ხელს აწერინებენ ამომრჩეველს და შემდეგ გადასცემენ ბიულეტენს .

VIII კაბინაში შესვლა და ხმის მიცემა



ბიულეტენების მიღებისა და სიაში ხელმოწერის შემდეგ ,ამომრჩეველი შედის ფარული კენჭისყრის კაბინაში, ავსებს საარჩევნო ბიულეტენებს და კეცავს მათ ისე, რომ არ ჩანდეს, თუ ვის მისცა მან ხმა.

ფარული კაბინიდან გამოსვლის შემდეგ დაკეცილი საარჩევნო ბიულეტენებით ამომრჩეველი მიდის განცალკევებით მდგარ მაგიდასთან, სადაც მოთავსებულია სპეციალური კონვერტები და საარჩევნო ყუთი, შევსებულ ბიულეტენებს დამოუკიდებლად დებს სპეციალურ კონვერტში. ყველა სახის ბიულეტენი იდება ერთ კონვერტში.

შენიშვნა:

- ❌ დაუშვებელია ერთდროულად ერთზე მეტი ამომრჩეველის შესვლა კაბინაში;
- ❌ კომისიის წევრებსა და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს შეუძლიათ ამომრჩეველს ფარული კენჭისყრის კაბინაში შესვლამდე მოსთხოვონ, უჩვენოს, თუ რამდენი ბიულეტენი აქვს მას ხელთ. ამომრჩეველი ვალდებულია შეასრულოს ეს მოთხოვნა.
- ❌ გაითვალისწინეთ, რომ კენჭისყრის ფარულობის უზრუნველსაყოფად კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეო გადაღება აკრძალულია.
- ❌ მხოლოდ ამომრჩეველია უფლებამოსილი , საარჩევნო ბიულეტენები მოათავსოს სპეციალურ კონვერტში. საარჩევნო კომისიის წევრს არა აქვს უფლება , გახსნას შევსებული საარჩევნო ბიულეტენები ან სხვაგვარად დაარღვიოს კენჭისყრის ფარულობა.
- ❌ კომისიის წევრებსა და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს შეუძლიათ, მოსთხოვონ ამომრჩეველს სპეციალურ კონვერტში ბიულეტენის ჩადებამდე უჩვენოს, თუ რამდენი ბიულეტენი აქვს მას ხელთ. ამომრჩეველი ვალდებულია შეასრულოს ეს მოთხოვნა. დაუშვებელია საარჩევნო ბიულეტენის კენჭისყრის შენობიდან გატანა.
- ❌ თუ ბიულეტენები არ იქნება მოთავსებული სპეციალურ კონვერტში და ისე მოთავსდება საარჩევნო ყუთში, ასეთი სახის ბიულეტენები გაბათილდება.

IX კონვერტის მოთავსება საარჩევნო ყუთში



ამომრჩეველი მიდის საარჩევნო ყუთთან. საარჩევნო ყუთის ზედამხედველი მხოლოდ მას შემდეგ, რაც დარწმუნდება, რომ ამომრჩეველს ხელში უჭირავს ერთი სპეციალური კონვერტი, ხსნის


საარჩევნო ყუთის ჭრილს. ამომრჩეველი საარჩევნო ყუთში აგდებს კონვერტში განთავსებულ ბიულეტენებს და ტოვებს კენჭისყრის შენობას.

შენიშვნა:

- ✘ საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრი ვალდებულია მუდმივად აკონტროლოს საარჩევნო ყუთი, არ დაუშვას საარჩევნო ყუთთან ერთდროულად ერთზე მეტი ამომრჩეველის მისვლა. მას დახურული უნდა ჰქონდეს კონვერტის ჩასაგდები ჭრილი და იგი უნდა გახსნას მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც დარწმუნდება, რომ ამომრჩეველს ხელში მხოლოდ ერთი კონვერტი აქვს. საარჩევნო ყუთში კონვერტის ჩაგდების შემდეგ, კომისიის წევრი ამომრჩეველს მიუთითებს, დატოვოს უბანი.
- ✘ თუ საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობა დარღვეული აღმოჩნდა, საუბნო საარჩევნო კომისია აჩერებს კენჭისყრის პროცესს და განკარგულებით იღებს გადაწყვეტილებას:
 - ყუთის ხელახლა დალუქვისა და კენჭისყრის გაგრძელების შესახებ;
ან
 - კენჭისყრის პროცესის შეწყვეტისა და საარჩევნო უბნის დახურვის შესახებ. კომისიის მდივანს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში (მე-10 და მომდევნო გვერდებზე) შეაქვს მომხდარის შინაარსი და საარჩევნო ყუთის ხელახალი დალუქვის დრო.

ყურადღება მიაქციეთ იმ ფაქტს, რომ საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია კენჭისყრის დღის 12:00 და 17:00 საათზე დათვალოს არჩევნებზე მისული ამომრჩეველების რაოდენობა და შეიტანოს იგი სადემონსტრაციო ოქმში და ჩანაწერთა წიგნში, საუბნო საარჩევნო კომისია დათვლას აწარმოებს სიაში ამომრჩეველთა ხელმოწერების დათვლის საფუძველზე.

კენჭისყრის დღის სქემა



გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით ხმის მიცემა²³

ამომრჩეველი, რომელიც კენჭისყრის დღეს ხმას ვერ აძლევს კენჭისყრის შენობაში, უფლებამოსილია კენჭისყრის დღემდე 2 დღით ადრე წერილობით ან ტელეფონის საშუალებით ზეპირი განცხადებით მოითხოვოს გადასატანი საარჩევნო ყუთით ხმის მიცემა.

გადასატანი საარჩევნო ყუთით ხმის მიცემა იწყება 9 საათზე და მთავრდება 19 საათზე. კენჭისყრის დღის 9 საათიდან წილისყრით გამოვლენილ საუბნო საარჩევნო კომისიის 2 წევრს (რომლებიც ირჩევიან მხოლოდ პარტიების მიერ დანიშნული წევრებისაგან და ისინი არ შეიძლება იყვნენ ერთი დამნიშვნელი სუბიექტის მიერ წარდგენილი საარჩევნო კომისიის წევრები. კომისიის თავმჯდომარე გადასცემს ამომრჩეველთა სიის დანართს, სპეციალური კონვერტებს და რეგისტრატორის მიერ ხელმოწერითა და სპეციალური ბეჭდით დამოწმებულ საჭირო რაოდენობის ბიულეტენებს. ამომრჩეველთა ადგილსამყოფლის მიხედვით ამომრჩეველებთან მიაქვთ გადასატანი საარჩევნო ყუთი. ამომრჩეველი პირადობის დამადასტურებელი საბუთის წარდგენის შემთხვევაში ხელს აწერს ამომრჩეველთა სიის დანართში და იღებს საარჩევნო ბიულეტენს და სპეციალურ კონვერტს.

გახსოვდეთ!

მარკირება არ გამოიყენება გადასატანი საარჩევნო ყუთით კენჭისყრაში მონაწილეთათვის.

კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს, თავიანთი სურვილისამებრ, შეუძლიათ დაესწრონ გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით ხმის მიცემას. ავტომობილის გამოყენებისას ადგილი გამოყოფილი იქნება წილისყრით გამოვლენილი 2 მეთვალყურისათვის.

გადასატანი საარჩევნო ყუთით კენჭისყრა მთავრდება 19:00 საათზე, რომლის შემდეგ ილუქება საარჩევნო ყუთში სპეციალური კონვერტის ჩასაგდება ჭრილი. ამის შემდეგ გადასატანი საარჩევნო ყუთი დაუყოვნებლივ დაბრუნებულ უნდა იქნეს საარჩევნო უბანში კენჭისყრის დღის არა უგვიანეს 20:00 საათისა.

თუ გადასატანი ყუთით ხმის მიცემისას დარჩება გამოუყენებელი ბიულეტენები და კონვერტები, საარჩევნო უბანში დაბრუნებისთანავე, გადასატანი ყუთის თანმხლებმა კომისიის წევრებმა ისინი უნდა გადასცენ კომისიის მდივანს. კომისიის მდივანი გამოუყენებელ ბიულეტენებს ჩამოაჭრის კუთხეს, დააწერს "გაფუჭებული" და კომისიის თავმჯდომარის მიერ ხელმოწერის შემდეგ, კენჭისყრის დასრულებამდე შეინახავს.²⁴

საარჩევნო უბნის დახურვა

ზუსტად 20:00 საათზე საარჩევნო უბანი იკეტება. ამ დროისთვის რიგში მდგომ ამომრჩეველებს შეუძლიათ ხმის მიცემა. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დავალებით, კომისიის ერთ-ერთი წევრი ჩანაწერთა წიგნში აღნიშნავს რიგში მდგომი ამომრჩეველების გვარსა და სახელს და მათ რაოდენობას აცნობებს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც გამოაცხადებს, რომ კენჭისყრაში მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ რიგში მდგომ ამომრჩეველებს. იმავე კომისიის წევრმა დაგვიანებით მისულ ამომრჩეველებს უნდა განუმარტოს, რომ ისინი ვეღარ მიიღებენ კენჭისყრაში მონაწილეობას. თუ კენჭისყრის ოთახი იძლევა საშუალებას, ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელმა კომისიის წევრმა რიგში მდგომი ამომრჩეველები უნდა შემოიყვანოს კენჭისყრის ოთახში და ჩაკეტოს საარჩევნო უბანი. როგორც კი ბოლო ამომრჩეველი მისცემს ხმას, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა პირმა, ხმების დათვლისას კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირების გარდა, დატოვოს საარჩევნო უბანი. საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანმა

²³ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, მუხლი 59

²⁴ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, მუხლი 56.5

კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში უნდა მიუთითოს ხმების დათვლის დროს კენჭისყრის შენობაში მყოფ პირთა ვინაობა.

კენჭისყრის დამთავრების შემდეგ საარჩევნო ყუთში სპეციალური კონვერტის ჩასაგდები ჭრილი ილუქება.

სამხედრო ნაწილში გახსნილ საარჩევნო უბანში კენჭისყრის დასრულების შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიამ უნდა დალუქოს საარჩევნო ყუთი, ამომრჩეველთა სია, გამოუყენებელი და გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენები და სპეციალური კონვერტები. დალუქული დოკუმენტაცია და საარჩევნო ყუთი დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წინასწარ განსაზღვრულ საუბნო საარჩევნო კომისიას, რომელიც შემდგომ პროცედურებს ასრულებს გადასატანი საარჩევნო ყუთისათვის დადგენილი წესით. ამ ორი საარჩევნო უბნის შედეგები ფორმდება ერთი ოქმით.²⁵

წილისყრა მთვლელების შესარჩევად

კენჭისყრის დასრულებისთანავე, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ატარებს წილისყრას

მთვლელების გამოვლენის მიზნით:

- აღრიცხავს, თუ რამდენი კომისიის წევრი იღებს მონაწილეობას;
- მათი რაოდენობის შესაბამისად ამზადებს ერთი ფორმისა და სახეობის (ფერის) ფურცლებს;
- მათგან 4 ფურცელზე ერთი და იმავე ფერის საწერი კალმით წერს: “პირველი მთვლელი”, “მეორე მთვლელი”, “მესამე მთვლელი” , „მეოთხე მთვლელი“ (ჩუღურეთის ოლქში დაემატება „ მეხუთე მთვლელი“);
- ყველა ფურცელს ამოწმებს კომისიის ბეჭდით;
- ყველა ფურცელს კეცავს ისე, რომ მათზე ტექსტის წაკითხვა შეუძლებელი იყოს და ათავსებს მაგიდაზე;
- მიმართავს წილისყრაში მონაწილე კომისიის წევრებს, სათითაოდ აიღონ წილისყრის ფურცლები.

კომისიის მდივანს წილისყრის შედეგი შეაქვს ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე.

საარჩევნო უბანში მყოფი დამკვირვებლები ურთიერთშეთანხმებით არჩევენ ორ მეთვალყურეს, რომლებიც დააკვირდებიან ხმების დათვლის პროცედურას მთვლელების გვერდით.თუ დამკვირვებლებმა ურთიერთშეთანხმებით ვერ შეარჩიეს ორი მეთვალყურე, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კენჭისყრის შენობაში მყოფი დამკვირვებლებისგან წილისყრით გამოავლენს ორ მეთვალყურეს.

საარჩევნო ყუთის გახსნამდე ჩასატარებელი პროცედურები

კომისიის თავმჯდომარე და მთვლელები ხმების დასათვლელად ამზადებენ საარჩევნო უბანს: მაგიდები იდგმება ოთახის შუაში. მთვლელები იკავებენ ადგილს მაგიდის ირგვლივ. ერთი მეთვალყურე დგება მეორე მთვლელის გვერდით, ხოლო მეორე მეთვალყურე მესამე მთვლელის გვერდით. კომისიის თავმჯდომარე იკავებს ადგილს ისე, რომ მან შეძლოს ყველა მთვლელის დანახვა. კომისიის მდივანი ადგილს იკავებს თავმჯდომარის გვერდით, რომელიც ავსებს ჩანაწერთა წიგნს.

²⁵ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, მუხლი 57.6

- დამკვირვებლებისგან წილისყრით გამოვლენილი 2 მეთვალყურე ადგილს იკავებს მთვლელების გვერდით: ერთი მეთვალყურე დგება მეორე მთვლელთან, ხოლო მეორე მეთვალყურე – მესამე მთვლელთან. ამ ორ მეთვალყურეს უფლება აქვთ დააკვირდნენ დათვლის მთელ პროცედურას, მიუთითონ მთვლელებს შეცდომაზე, მოითხოვონ შეცდომის გასწორება.
- კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს (რომლებსაც უფლება აქვთ დააკვირდნენ ხმების დათვლას მთვლელებიდან 2 მეტრის დაშორებით) უფლება აქვთ მიუთითონ მთვლელს ცალკე გადადოს ის ბიულეტენები, რომელთა ნამდვილობაც საექვოდ იქნა მიჩნეული. მთვლელი ვალდებულია დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა.

კომისიის თავმჯდომარემ უნდა გაითვალისწინოს, რომ მაგიდაზე, რომელზეც მიმდინარეობს დათვლა, არ იდოს ზედმეტი დოკუმენტაცია, საწერი საშუალება. ასევე, მაგიდას არ ჰქონდეს გადასაფარებელი.

კომისიის თავმჯდომარემ დათვლის მაგიდასთან უნდა მიიტანოს:

- ამომრჩეველთა ერთიანი სია, სპეციალური სია და სიის დანართი;
- გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენები;
- გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენები;
- ძირითადი და გადასატანი საარჩევნო ყუთები;
- შესადარებლად შენახული საკონტროლო ფურცელი;
- სანთლები, ფანარი (ელექტროენერჯის შეწყვეტის შემთხვევისთვის);
- კარკულატორი.

კომისიის თავმჯდომარე მთვლელებს მიუთითებს დაითვალონ შემდეგი თანმიმდევრობით:

1. ამომრჩეველთა რაოდენობა ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში; აღნიშნული მონაცემი კომისიის მდივანს შეაქვს ჩანაწერთა წიგნის, სადემონსტრაციო ოქმებისა და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების მე-2 გრაფაში;
2. ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა ამომრჩეველთა ერთიან სიაში, სპეციალურ სიასა და ამომრჩეველთა სიის დანართში. კომისიის მდივანი აჯამებს სამივე მონაცემს და მიღებული რაოდენობა შეაქვს ჩანაწერთა წიგნის, სადემონსტრაციო ოქმებისა და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების მე-4 გრაფაში;
3. გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენები, რომელთა რაოდენობა კომისიის მდივანს შეაქვს ჩანაწერთა წიგნის, სადემონსტრაციო ოქმებისა და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების მე-6 გრაფაში;
4. გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენები, რომელთა რაოდენობა კომისიის მდივანს შეაქვს ჩანაწერთა წიგნის, სადემონსტრაციო ოქმებისა და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების მე-7 გრაფაში;
5. მონაცემების სისწორის გადამოწმების მიზნით, კომისიის მდივანი ამოწმებს:

→ მიღებული ბიულეტენების რაოდენობა - ხელმოწერების რაოდენობა - გაფუჭებული ბიულეტენების რაოდენობა = გამოუყენებელ ბიულეტენების რაოდენობას;

თუ ტოლობა არ შედგა, კომისიის თავმჯდომარე მთვლელებს მიუთითებს გადაითვალონ:

- ყველა სახის სიაში ხელმოწერების რაოდენობა;
- გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობა;
- გაფუჭებული ბიულეტენების რაოდენობა.

6. მთვლელები A3 ზომის კონვერტებში ცალ-ცალკე დებენ და ლუქავენ ამომრჩეველთა ერთიან სიას, სპეციალურ სიას (ასევე, კენჭისყრის დღეს სპეციალურ სიაში შეყვანილი ამომრჩეველების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ფოტოასლებს) და ამომრჩეველთა სიის დანართს. კონვერტს ზემოდან ეწერება საარჩევნო დოკუმენტაციის სახეობა, საარჩევნო ოლქისა და უბნის ნომერი. კონვერტის ლუქის ზოლზე ხელს აწერენ მთვლელები და კომისიის თავმჯდომარე და მიეთითება დალუქვის თარიღი და დრო;
7. გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენები იდება A4 ზომის კონვერტებში და ილუქება. კონვერტის თავფურცელზე იწერება არჩევნების სახეობა (პროპორციული, მაჟორიტარული, მერის, ჩუღურეთში პარლამენტის შუალედური), საარჩევნო დოკუმენტაციის სახეობა (გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენები), კონვერტში მოთავსებული ბიულეტენების რაოდენობა, საარჩევნო ოლქის და უბნის ნომერი. კონვერტის ლუქის ზოლზე ხელს აწერენ მთვლელები და კომისიის თავმჯდომარე და მიეთითება დალუქვის თარიღი და დრო;
8. გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენების ბლოკნოტები იდება A4 ზომის კონვერტებში და ილუქება. კონვერტის თავფურცელზე იწერება არჩევნების სახეობა, საარჩევნო დოკუმენტაციის სახეობა (გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენები), კონვერტში მოთავსებული ბიულეტენების რაოდენობა, საარჩევნო ოლქის და უბნის ნომერი. კონვერტის ლუქის ზოლზე ხელს აწერენ მთვლელები და კომისიის თავმჯდომარე და მიეთითება დალუქვის თარიღი და დრო.

საარჩევნო ბიულეტენების ყოველი შეკვრა ილუქება იმგვარად, რომ ბეჭდის დაუზიანებლად შეუძლებელი იყოს შეკვრიდან ბიულეტენის ამოღება ან ჩადება.

საარჩევნო ყუთის გახსნა²⁶

კომისიის თავმჯდომარე გადასატანი საარჩევნო ყუთის გახსნის მიზნით ატარებს შემდეგ პროცედურას:

1. კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით ამოწმებს გადასატანი საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობას და ლუქის ნომერს ადარებს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში მითითებულ ნომერს;
 - ✘ თუ ლუქის მთლიანობა დარღვეული აღმოჩნდა, მაგრამ კომისია მიიჩნევს, რომ ამას არ გამოუწვევია საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევა, კომისიის განკარგულებით გრძელდება კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურა. წინააღმდეგ შემთხვევაში, საარჩევნო ყუთი ილუქება და საარჩევნო ყუთი, სხვა საარჩევნო დოკუმენტაცია და კომისიის განკარგულება ყუთისა და საარჩევნო დოკუმენტაციის დალუქვის გადაწყვეტილების შესახებ, დაუყოვნებლივ გადაეცემა საოლქო საარჩევნო კომისიას.
 - ✘ თუ ლუქის ნომერი განსხვავდება ჩანაწერთა წიგნში მითითებული ნომრისგან, გადასატანი საარჩევნო ყუთი დაილუქება, კომისია განკარგულებით მიიღებს გადაწყვეტილებას ყუთისა და საარჩევნო დოკუმენტაციის დალუქვის შესახებ და ხმის დათვლის პროცედურების დასრულების შემდეგ დალუქული გადასატანი ყუთი სხვა დოკუმენტაციასთან ერთად წარედგინება საოლქო საარჩევნო კომისიას.
2. ხსნის გადასატან საარჩევნო ყუთს; მიუთითებს მთვლელებს, რომ სპეციალური კონვერტები გადმოყარონ მაგიდაზე, რის შემდეგაც ამოწმებს საკონტროლო ფურცლის არსებობას და უდარებს შესაძარებლად შენახულ საკონტროლო ფურცელს; მიუთითებს

²⁶ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, მუხლი 61

მდივანს შეინახოს გადასატან საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი საკონტროლო ფურცელი ხმების დათვლის დამთავრებამდე;

- ✘ თუ საკონტროლო ფურცელი არ აღმოჩნდა ან ის არსებითად განსხვავდება შესადარებლად შენახული საკონტროლო ფურცლისგან, ყველა კონვერტი დაუყოვნებლივ შეიფუთება და დაილუქება. კომისია მიიღებს განკარგულებას და ხმის დათვლის პროცედურების დასრულების შემდეგ დალუქული კონვერტები სხვა დოკუმენტაციასთან ერთად წარედგინება საოლქო საარჩევნო კომისიას.
- 3. მიუთითებს მთვლელებს დაითვალონ გადასატან საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი კონვერტების რაოდენობა, რომელსაც უდარებს ამომრჩეველთა სიის დანართში ხელმოძღვრ ამომრჩეველთა რაოდენობას;
 - ✘ თუ კონვერტების რაოდენობა ხელმოწერების რაოდენობაზე მეტი აღმოჩნდა, გადასატან საარჩევნო ყუთში არსებული კონვერტები ილუქება, ეწერება „ბათილია“; კომისია განკარგულებით მიიღებს გადაწყვეტილებას არსებული კონვერტების დალუქვის შესახებ და ხმის დათვლის პროცედურების დასრულების შემდეგ სხვა დოკუმენტაციასთან ერთად წარედგინება საოლქო საარჩევნო კომისიას.
- 4. მიუთითებს მთვლელებს დროებით დააბრუნონ სპეციალური კონვერტები გადასატან საარჩევნო ყუთში.

კომისიის თავმჯდომარე ძირითადი საარჩევნო ყუთის გახსნის მიზნით ატარებს შემდეგ პროცედურას:

1. კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით ამოწმებს ძირითადი საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობას და ლუქის ნომერს ადარებს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში მითითებულ ნომერს;
 - ✘ თუ ლუქის მთლიანობა დარღვეული აღმოჩნდა, მაგრამ კომისია მიიჩნევს, რომ ამას არ გამოუწვევია საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევა, კომისიის განკარგულებით გრძელდება კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურა. წინააღმდეგ შემთხვევაში, საარჩევნო ყუთი ილუქება და საარჩევნო ყუთი, სხვა საარჩევნო დოკუმენტაცია და კომისიის განკარგულება, ყუთისა და საარჩევნო დოკუმენტაციის დალუქვის გადაწყვეტილების შესახებ, დაუყოვნებლივ გადაეცემა საოლქო საარჩევნო კომისიას.
 - ✘ თუ ლუქის ნომერი განსხვავდება ჩანაწერთა წიგნში მითითებული ნომრისგან, კომისია განკარგულებით მიიღებს ყუთისა და შესაბამისი საარჩევნო დოკუმენტაციის დალუქვის გადაწყვეტილებას, ყველა საარჩევნო დოკუმენტაცია დაილუქება და დაუყოვნებლივ წარედგინება საოლქო საარჩევნო კომისიას.
2. ხსნის ძირითად საარჩევნო ყუთს; მიუთითებს მთვლელებს სპეციალური კონვერტები გადმოყარონ მაგიდაზე, რის შემდეგაც ამოწმებს საკონტროლო ფურცლის არსებობას და უდარებს შესადარებლად შენახულ საკონტროლო ფურცელს; მიუთითებს მდივანს შეინახოს ძირითად საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი საკონტროლო ფურცელი ხმების დათვლის დამთავრებამდე;
 - ✘ თუ საკონტროლო ფურცელი არ აღმოჩნდა ან ის არსებითად განსხვავდება შესადარებლად შენახული საკონტროლო ფურცლისგან, კომისია ადგენს სათანადო ოქმს, ყველა საარჩევნო დოკუმენტაცია დაილუქება და დაუყოვნებლივ გადაეცემა საოლქო საარჩევნო კომისიას.
3. კომისიის თავმჯდომარე მიუთითებს მთვლელებს აურიონ ძირითადი და გადასატანი საარჩევნო ყუთებიდან გადმოყრილი სპეციალურ კონვერტები.

ხმის დათვლა²⁷

მთვლელები საარჩევნო ბიულეტენებს ითვლიან შემდეგი წესის დაცვით:

1. პირველი მთვლელი სპეციალური კონვერტიდან იღებს საარჩევნო ბიულეტენებს და ამოწმებს, რამდენი ბიულეტენი დევს სპეციალურ კონვერტში;
→ თუ კონვერტში აღმოჩნდა დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენები (საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი ნებისმიერი სახის ფურცელი, რომელიც არ შეესაბამება ცესკო-ს მიერ ოფიციალურად დადგენილ ფორმას), მას ცალკე გადადებს (დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენები დალუქვის გარეშე წარედგინება საოლქო საარჩევნო კომისიას).
2. პირველი მთვლელი ამოწმებს საარჩევნო ბიულეტენების ნამდვილობას და აცხადებს ვისთვისაა ხმა მიცემული მაჟორიტარული და პროპორციული, თბილისის მერის არჩევნების (ჩუღურეთის საარჩევნო ოლქში - შუალედური საპარლამენტო არჩევნების) მიხედვით; ან მისი ბათილობის შემთხვევაში აცხადებს ბათილობის მიზეზს.

საარჩევნო ბიულეტენი ბათილია იმ შემთხვევაში, თუ:

- საარჩევნო ბიულეტენი დამოწმებული არ არის რეგისტრატორის ხელმოწერითა და სპეციალური ბეჭდით;
- შეუძლებელია იმის დადგენა, რომელ საარჩევნო სუბიექტს მისცა ხმა ამომრჩეველმა (ამომრჩეველმა ხმა არ მისცა არცერთ სუბიექტს, ან ხმა მისცა ერთზე მეტ სუბიექტს, ყველა გადახაზა და სხვ.);
- სპეციალურ კონვერტში აღმოჩნდა დადგენილ რაოდენობაზე მეტი საარჩევნო ბიულეტენი;

იმ შემთხვევაში, თუ კონვერტში აღმოჩნდა ერთი სახის დადგენილ რაოდენობაზე მეტი ბიულეტენი, ბათილად ჩაითვლება არა მთლიანი კონვერტი, არამედ მასში არსებული ორი ან მეტი ერთგვაროვანი ბიულეტენი (მაგ: თუ კონვერტში უნდა იყოს ერთი მაჟორიტარული, ერთი პროპორციული ბიულეტენი, ერთი თბილისის მერის ბიულეტენი და შეცდომით კონვერტში აღმოჩნდა ორი პროპორციული, ერთი მაჟორიტარული ბიულეტენი, ერთი თბილისის მერის ბიულეტენი, ბათილად ჩაითვლება მხოლოდ პროპორციული ბიულეტენები, ხოლო მაჟორიტარული ბიულეტენი ჩაითვლება ნამდვილად).

- სპეციალური კონვერტი არ არის დადგენილი ნიმუშის;
- საარჩევნო ბიულეტენი საარჩევნო ყუთში აღმოჩნდა სპეციალური კონვერტის გარეშე;
- საარჩევნო ბიულეტენი განკუთვნილი იყო სხვა საარჩევნო უბნისთვის.

ბათილად არ უნდა ჩაითვალოს ის საარჩევნო ბიულეტენი, რომელშიც აშკარაა ამომრჩევლის განზრახვა, ხმა მისცეს რომელიმე სუბიექტს.

✘ იმ შემთხვევაში, თუ კომისიის რომელიმე წევრი, ან კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე რომელიმე პირი, არ დაეთანხმება პირველი მთვლელის გადაწყვეტილებას ბიულეტენის ნამდვილობის შესახებ, ასეთი ბიულეტენი გადაიდება ცალკე – საექვოდ მიჩნეულ ბიულეტენებში (მთვლელი ვალდებულია დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა).

3. პირველი მთვლელი აწვდის პროპორციულ ბიულეტენს მეორე მთვლელს, მაჟორიტარულ ბიულეტენს - მესამე მთვლელს, თბილისის მერის ბიულეტენს- მოთხე

²⁷ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, მუხლი 62

მთვლელს (ჩუღურეთის საარჩევნო ოლქში- შუალედური საპარლამენტო არჩევნების მაჟორიტარულ ბიულეტენს- მეხუთე მთვლელს) , ხოლო სპეციალურ კონვერტს გადადებს ცალკე;

4. მეორე და მესამე მთვლელები (ჩუღურეთის ოლქში-მეხუთე მთვლელი) ახარისხებენ საარჩევნო ბიულეტენებს საარჩევნო სუბიექტებისთვის მიცემული ხმების, ბათილი ბიულეტენების და საექვოდ მიჩნეული ბიულეტენების მიხედვით;
5. საარჩევნო ბიულეტენების დახარისხების დასრულების შემდეგ, კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრებთან ერთად განიხილავს და კენჭისყრით წყვეტენ საექვოდ მიჩნეული ბიულეტენების ნამდვილობის საკითხს. ნამდვილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენს კომისიის თავმჯდომარე დებს ნამდვილი ბიულეტენების დასტაში (საარჩევნო სუბიექტისთვის მიცემული ხმის მიხედვით), ხოლო ბათილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენს - ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენების დასტაში;
6. კომისიის თავმჯდომარე ბათილ საარჩევნო ბიულეტენებს ზემოდან აწერს „ბათილია“ და ხელს აწერენ მთვლელები და კომისიის თავმჯდომარე;
7. ბიულეტენების დახარისხების შემდეგ კომისიის თავმჯდომარე მთვლელებს მიუთითებს დაითვალონ:
 - ბათილი საარჩევნო ბიულეტენები;
 - საარჩევნო სუბიექტების მიხედვით დახარისხებული ბიულეტენები;
 - პირველი და მეორე მთვლელები ითვლიან დახარისხებულ ბიულეტენებს და აწყობენ ათ-ათ ცალად ერთმანეთზე ჯვარედინად. მესამე მთვლელი ხელახლა ითვლის/ამოწმებს ათ-ათ ცალად დაწყობილ საარჩევნო ბიულეტენებს.
8. კომისიის თავმჯდომარე აცხადებს თითოეული საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმების რაოდენობას მაჟორიტარული, პროპორციული და თბილისის მერის არჩევნების (ჩუღურეთის ოლქში- შუალედური საპარლამენტო არჩევნების) მიხედვით. კომისიის მდივანს ეს მონაცემები შეაქვს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში.
9. მონაცემების სისწორის გადამოწმების მიზნით, კომისიის მდივანი ამოწმებს:
 - ✘ სუბიექტების მიერ მიღებული ხმების საერთო რაოდენობას + ბათილი ბიულეტენების რაოდენობა <= ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობას. თუ ტოლობა არ დაჯდა, კომისიის თავმჯდომარემ მთვლელებს უნდა მიუთითოს გადაითვალონ:
 - საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმები/ბიულეტენები;
 - ბათილი ბიულეტენები.
 - ✘ თუ ტოლობა მაინც ვერ იქნა მიღებული, კომისიის მდივანმა კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი უნდა შეავსოს ხელთ არსებული დოკუმენტაციის/მონაცემების საფუძველზე.

შედეგების შემაჯამებელი ოქმი²⁸

საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი ზემო-აღნიშნული პროცედურების დასრულების შემდეგ საუბნო კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით ავსებს შემაჯამებელ ოქმებს.

ქალაქ თბილისი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოსა და დედაქალაქის მერის არჩევნების დროს დგება 3 შემაჯამებელი ოქმი

²⁸ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, მუხლი 55;63

(პროპორციული, მაჟორიტარული და თბილისის მერის). (ჩუღურეთის საარჩევნო ოლქში დამატებით მაჟორიტარული შედეგების შემაჯამებელი ოქმი- პარლამენტის შუალედური არჩევნებისთვის).

შედეგების შემაჯამებელი ოქმი არის კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების დამადასტურებელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. შედეგების შემაჯამებელ ოქმს და ამ კანონით დადგენილი წესით დამოწმებულ მის ასლს ერთნაირი იურიდიული ძალა აქვს.

შემაჯამებელ ოქმში მითითებული უნდა იყოს:

- საარჩევნო ოლქის ნომერი და დასახელება, საარჩევნო უბნის ნომერი;
 - იმ საარჩევნო უბნის ნომერი, რომელშიც არ ჯამდება კენჭისყრის დღის შედეგები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და რომელიც მიმაგრებულია ამ უბანზე;
 - არჩევნების დასახელება;
 - კენჭისყრის თარიღი (თუ ეს არის განმეორებითი კენჭისყრა ან არჩევნების მეორე ტური, ესეც უნდა აღინიშნოს);
 - საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდისა და რეგისტრატორების ბეჭდების ნომრები;
 - ერთიან სიაში ამომრჩეველთა რაოდენობა;
 - ამომრჩეველთა რაოდენობა სპეციალურ სიაში;
 - არჩევნების მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა ამომრჩეველთა სიებში 12 და 17 საათზე;
 - არჩევნების მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა (ამომრჩეველთა სიებში ხელმოწერების მიხედვით);
 - მიღებულ საარჩევნო ბიულეტენტა რაოდენობა;
 - გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენტა რაოდენობა;
 - გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენტა რაოდენობა;
 - ბათილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენტა რაოდენობა;
 - საარჩევნო სუბიექტების დასახელება, საარჩევნო სუბიექტებისათვის მიცემულ ხმათა რაოდენობა;
 - ოქმის შედგენის თარიღი და დრო;
 - ოქმის ის მონაცემები, რომლებსაც არ ეთანხმება კომისიის წევრი (ამ ჩანაწერს კომისიის წევრი აკეთებს გრაფაში „განსხვავებული აზრი“ და ხელს აწერს მას);
 - ოქმის სარეგისტრაციო ნომერი, რეგისტრაციის თარიღი და დრო (აღინიშნება ოქმის გაცემისას);
- საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა წევრი ვალდებულია ხელი მოაწეროს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს, რითაც დასტურდება მათი ყოფნა საარჩევნო უბანში. ოქმი დამოწმდება საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდით;
- თითოეული სახის შემაჯამებელი ოქმი ინომრება ინდივიდუალური ნომრით, რომელიც არ შეიძლება მეორდებოდეს;
- შემაჯამებელი ოქმი იბეჭდება ქართულ ენაზე, ხოლო იმ საარჩევნო ოლქებისთვის, რომლებისთვისაც საარჩევნო ბიულეტენი იბეჭდება ადგილობრივი მოსახლეობისათვის გასაგებ სხვა ენაზედაც, შემაჯამებელი ოქმი შეიძლება დაიბეჭდოს შესაბამის ენაზედაც.
- თუ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი არ ეთანხმება საუბნო საარჩევნო კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში შეტანილ მონაცემებს, მას უფლება აქვს, ოქმს წერილობით დაურთოს განსხვავებული აზრი და ხელი მოაწეროს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს;
- კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებში შესული ყველა მონაცემი უნდა გამოცხადდეს ხმამაღლა, ყველას გასაგონად. კომისიის მდივანს ოქმებში შეტანილი მონაცემები ასევე შეაქვს სადემონსტრაციო ოქმებში;

- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ოქმებს ამოწმებს კომისიის ბეჭდით. თუ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი არ ეთანხმება ოქმში შეტანილ მონაცემებს, მას უფლება აქვს ოქმს წერილობით დაურთოს განხსვავებული აზრი, ასევე ჩანაწერი გააკეთოს შემაჯამებელ ოქმში „განხსვავებული აზრის“ გრაფაში და მოაწეროს ხელი ოქმს;
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ოქმების ასლები უნდა გამოაკრას საარჩევნო უბანში საჯარო გაცნობისთვის;
- მოთხოვნის შემთხვევაში, საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი პარტიის/საარჩევნო ბლოკის წარმომადგენლებს და დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებლებს გადასცემს შემაჯამებელი ოქმების ასლებს (კომისიის წევრების თანდართული განხსვავებული აზრებით და შესწორების ოქმებით ასეთების არსებობის შემთხვევაში);
- ოქმის ასლი მოწმდება საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდით და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერებით (ამ ოქმების იურიდიული ძალა ისეთივეა, როგორც საუბნო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმისა);
- კომისიის მდივანმა სარეგისტრაციო ჟურნალში რეგისტრაციაში უნდა გაატაროს გაცემული საარჩევნო დოკუმენტაცია და გაცემული ოქმების ქსეროასლებს მიანიჭოს რეგისტრაციის ნომერი. ოქმის მიღება წარმომადგენელმა/დამკვირვებელმა ჩანაწერთა წიგნში და სარეგისტრაციო ჟურნალში ხელმოწერით უნდა დაადასტუროს;
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია შემაჯამებელი ოქმის ასლი დაუყოვნებლივ, ოქმის შევსებისთანავე, თავის ხელთ არსებული ტექნიკური საშუალებებით (მათ შორის ფაქსის მეშვეობით, სადაც არის ამის შესაძლებლობა) გაუგზავნოს ცესკოს.
- ✘ აკრძალულია კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემების გადასწორება. თუ შემაჯამებელი ოქმის შევსებისას დაშვებულ იქნა შეცდომა, მის გამოსასწორებლად შემაჯამებელ ოქმში, შესაბამისი მონაცემის გასწვრივ, მაშინვე კეთდება წარწერა „შესწორებულია“. საუბნო საარჩევნო კომისია ადგენს შესწორების ოქმს, რომელშიც აღინიშნება შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემის შესწორება და ამ ოქმის შედგენის თარიღი და დრო. ამ ოქმს ხელს აწერს სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი, ოქმს დაესმება კომისიის ბეჭედი, გატარდება კომისიის სარეგისტრაციო ჟურნალში და დაერთვება იმ შემაჯამებელ ოქმს, რომელში შეტანილი მონაცემიც შესწორდა;

შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემების გადასწორება (“შესწორების ოქმის” გარეშე გადასწორებული მონაცემი) იწვევს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის და მდივნის დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით. ხოლო ასეთი ოქმის ბათილობის საკითხს განიხილავს საოლქო საარჩევნო კომისია.

კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ასლის გაუცემლობა იწვევს კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის მდივნის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

გამოყენებული ლიტერატურა საქართველოს ორგანული კანონი საარჩევნო კოდექსი „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებლის სახელმძღვანელო